საჯარო მმართველობის რეფორმა

2019 2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში

იანვარი-დეკემბერი, 2019

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

სარჩევი

გვ.2 მოკლე შეჯამება

გვ.5 შესავალი

- გვ.5 რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება
- გვ.6 რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი
- გვ.6 მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია
- გვ.7 მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა
- გვ.8 კომუნიკაცია

გვ.9 ზოგადი პროგრესი

- გვ.9 საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესის მიმოხილვა
- გვ.12 მნიშვნელოვანი მიღწევები
- გვ.13 ძირითადი გამოწვევები
- გვ.14 ფინანსური ხარჯები

გვ.15 I. პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

გვ.24 II. საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

გვ.29 III. ანგარიშვალდებულება

გვ.35 IV. სახელმწიფო სერვისების მიწოდება

გვ.43 V. საჯარო ფინანსების მართვა

გვ.46 VI. ადგილობრივი თვითმმართველობა

გვ.49 რისკები, გამოწვევები და რეკომენდაციები

- გვ.49 სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რისკები
- გვ.51 გამოწვევები სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში
- გვ.54 სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს გამოვლენილი რისკები
- გვ.54 რეკომენდაციები

გვ.56 დაგროვილი გამოცდილება

გვ.57 დანართი 1

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საჯარო მმართველობის სამმართველო
პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის
დეპარტამენტი
აპრილი, 2020

მოკლე შეჯამება

21 ამოცანა » **28** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **54** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი

მნიშვნელოვანი მიღწევები:

პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება

დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, სახელმძღვანელო და 10 დანართი (გვ. 16)

დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) შესახებ კანონპროექტი და საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია (გვ. 21)

სერვისების მიწოდების გაუმჯობესება

იუსტიციის სახლში დაინერგა ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF) (გვ. 38)

მოქალაქის პორტალ MY.GOV.GE-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების რაოდენობა 467-მდე გაიზარდა; პორტალი ადაპტირდა უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის (გვ. 39)

საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება

პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში გადამზადებული 236 საჯარო მოხელიდან 72.9%-მა წარჩინების სერტიფიკატი მიიღო (გვ. 18)

შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია; (გვ. 25)

374-მა საჯარო მოხელემ გაიარა აკრედიტებული პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამა და შეიქმნა პროგრამათა რეიტინგები (გვ. 26)

ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება

დამტკიცდა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია (გვ. 47)

ამოცანის შედეგის ინდიკატორების პროგრესი 2019 წლის მონაცემებით



- N/A*
- პროგრესის დადებითი დინამიკა

* 2019 წლის მონაცემებით პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი

აქტივობის შედეგის ინდიკატორების განხორციელების რეიტინგი



- სრულად შესრულდა (100%)
- ნაწილობრივ შესრულდა (≥ 50%)
- არ შესრულდა (≤ 50%)

აქტივობის განხორციელების პროგრესი პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით

- 17 — საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- 11 — სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- 10 — სსიპ - სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- 2 — საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- 1 — სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
- 9 — სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
- 9 — საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

2019 წელს შესასრულებელი აქტივობის შედეგის ინდიკატორების რაოდენობა უწყებების მიხედვით

შემუშპასუხისმგებელი უწეყება	სრულად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	11 ▶ 64.7%	5 ▶ 29.4%	1 ▶ 5.9%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	5 ▶ 55.6%	1 ▶ 11.1%	3 ▶ 33.3%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2 ▶ 100%	-	-
სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	7 ▶ 63.6%	1 ▶ 9.1%	3 ▶ 27.3%
სსიპ-სახელმწიფოსერვისებისგანვითარების სააგენტო	2 ▶ 22.2%	3 ▶ 33.3%	4 ▶ 44.5%
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	3 ▶ 30%	5 ▶ 50%	2 ▶ 20%
სსიპ - სახელმწიფო აუდიტის სამსახური	1 ▶ 100%	-	-

დახარჯული ფინანსური რესურსი



ძირითადი გამოწვევები

- აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება
- ადამიანური რესურსის ნაკლებობა
- განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა და ვადებში ჩამორჩენა
- მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარსადგენი კანონპროექტების შემუშავების დროში გაჭიანურება
- კონსულტაციების არათანმიმდევრული დაგეგმვა
- მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტთა მოძიების სირთულე

შესავალი

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში 2015 წელს დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმა (რეფორმა), რომლის კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს თამაშობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად, ქვეყანამ უნდა განახორციელოს სიღრმისეული რეფორმები საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის მიმართულებით.[1]

ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტების მხარდაჭერით, შემუშავდა რეფორმის გზამკვლევი 2020,[2] რომელიც სტრატეგიული დოკუმენტია და საჯარო მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით მთავრობის ძირითად ამოცანებს განსაზღვრავს. გზამკვლევის განხორციელების მიზნით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა 2015-2016, მოგვიანებით კი – სამოქმედო გეგმა 2017-2018 და 2019-2020 წლებისთვის.

რეფორმის უწყვეტობის და მასში მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა აქტიური ჩართულობის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით 2016 წლიდან შექმნილია საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭო (საბჭო), რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ხელმძღვანელობს.

რეფორმა ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს ეყრდნობა და 5 ძირითად, და ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, დამატებით კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს, ესენია:

- პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია
- საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა
- ანგარიშვალდებულება
- სახელმწიფო სერვისების მიწოდება
- საჯარო ფინანსების მართვა
- ადგილობრივი თვითმმართველობა

წინამდებარე დოკუმენტი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის[3] შესრულების მონიტორინგის წლიურ ანგარიშს წარმოადგენს და მისი მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების, აგრეთვე, აქტივობების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.

ანგარიში შემუშავდა რეფორმის საბჭოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო) მიერ პროცესში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მონიტორინგის ანგარიში მოიცავს 2019 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (I-IV კვარტალი).

რეფორმის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება

რეფორმის რიგით მესამე, 2019 - 2020 წლების სამოქმედო გეგმა 2019 წლის 10 ივნისს, საქართველოს მთავრობის N274 დადგენილებით დამტკიცდა.

სამოქმედო გეგმა რეფორმის საბჭოს სამდივნოს მიერ OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტენსიური თანამშრომლობით შემუშავდა. სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის შედეგის გაზომვის მიზნით შემუშავდა შედეგის ინდიკატორები კონკრეტული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების მითითებით. შესაბამისად, გაანალიზდა არსებული მდგომარეობა და შედეგი, რომელიც სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანის განხორციელებას უნდა მოყვეს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში პირველად იქნა გამოყენებული საჯარო კონსულტაციების ელექტრონული მეთოდი.

სამოქმედო გეგმა 23 ამოცანას, 35 ამოცანის შედეგის ინდიკატორს, 78 აქტივობასა და 119 აქტივობის შედეგის ინდიკატორს ითვალისწინებს.

[1] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, მუხლი 4.
[2] საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020.
[3] საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2019-2020.

რეფორმის საკოორდინაციო მექანიზმი

2015 წელს რეფორმის განხორციელების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. 2016 წელს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფუნქციაა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი.[4] აღსანიშნავია, რომ 2020 წლის იანვრამდე პრემიერ-მინისტრის ერთი ბრძანებით რეგულირდებოდა საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოსა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის წესი, თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული საბჭოები ყოველთვის დამოუკიდებელ საქმიანობას ეწეოდნენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მასშტაბურობიდან გამომდინარე. რეფორმის საბჭოს სამდივნოს ინიციატივით, 2020 წლის 27 იანვარს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც რეფორმის საბჭო დამოუკიდებელ სათათბირო ორგანოდ ჩამოყალიბდა, ნათლად გაიწერა მისი უფლება-მოვალეობები, შემადგენლობა და საქმიანობის წესი.[5]

საბჭოს სამდივნოს ფუნქცია დაეკისრა მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველოს, რომელიც 2019 წელს ჩამოყალიბდა. სამდივნო უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების განხილვის მიზნით რეფორმის საბჭოს სხდომა 2020 წლის 7 თებერვალს გაიმართა. შეხვედრაზე სამდივნომ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის პროგრეს ანგარიში წარადგინა, რომელიც 2019 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდს მოიცავს. გარდა ამისა, შეხვედრაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა მიმოიხილეს სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს ეს შეხვედრა დაინტერესებულ მხარეთა მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა. სხდომაზე წარმოდგენილი იყო საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრი, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ საბჭოს სამუშაო პროცესში და გამართულ დისკუსიებში. განხილვებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს OECD/SIGMA-ს ექსპერტებმა, გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ხელმძღვანელებმა, ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საბჭო შეთანხმდა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის, 2021-2024 წლების საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიისა და თანამდევი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე რეფორმის სამდივნოს მიერ წარმოდგენილი კალენდრის შესაბამისად.

მონიტორინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის მეთოდოლოგია ეყრდნობა ერთი მხრივ, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს,[6] ხოლო მეორე მხრივ, OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ინსტრუმენტს.[7] მონიტორინგის ანგარიში მოიცავს 2019 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (I - IV კვარტალი).

სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის მეთოდოლოგიის თანახმად, რეფორმის საბჭოს სამდივნომ შეაფასა ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების შესრულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების გაზომვა შეუძლებელია სამი მიზეზის გამო:

- ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა დამოკიდებულია 2020 წლის ბოლოს დასასრულებელი აქტივობების განხორციელებაზე;
- 2019 წელს განხორციელებული აქტივობების შედეგები 2020 წლის ბოლოს იქნება გაზომვადი;
- ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა დამოკიდებულია 2019 წელს დასასრულებელ აქტივობებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

[4] საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება „საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.
[5] საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის N17 ბრძანება „საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.
[6] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N629 დადგენილებით დამტკიცებული “პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის” მიხედვით, სახელმძღვანელოს წესები ვრცელდება პოლიტიკის იმ დოკუმენტებზე, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან დამტკიცდება მთავრობის მიერ. მიუხედავად ამისა, მოცემული ანგარიში მომზადებულია სახელმძღვანელოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.
[7] OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ინსტრუმენტი.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც რომელი-მე ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი, ამოცანის მიღწევა აქტივობის შედეგის ინდიკატორებზე დაყრდნობით ფასდება.

ამ გზით, მოცემული ანგარიში ზომავს საანგარიშო პერიოდში რეფორმის თითოეული მიზნის შესრულებას და ზოგად პროგრესს დასახული ამოცანების მიღწევის გზაზე. ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულება სრულად სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვისას, 2020 წლის IV კვარ-ტლის მდგომარეობით შეფასდება.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი რამდენიმე ეტაპად დაიყო

I ეტაპი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო 2 კვირის ვადით გაეგზავნათ გეგმის პასუხისმგებელ უწყებებს პროგრესის შესახებ ინფორმაციის სამდივნოსთვის მისაწოდებლად. ობიექტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიშის მომზადების მიზნით, სამდივნომ მონიტორინგის პროცესში გამოითხოვა თითოეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებული დადასტურების წყაროები

II ეტაპი

სამდივნომ დაამუშავა მიღებული ინფორმაცია და კომენტარებისთვის 2 კვირის ვადით პროცესში ჩართულ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა

III ეტაპი

სამოქალაქო საზოგადოებისგან კომენტარების მიღების შემდგომ, სამდივნომ წარმოდგენილი ინფორმაცია დაამუშავა და მოამზადა მონიტორინგის წლიური ანგარიში, რომელიც სამოქმედო გეგმის ამოცანის შედეგისა და აქტივობის შედეგის ინდიკატორების შერსულებას 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით აფასებს

მონიტორინგის კრიტერიუმები

რეიტინგი

სრულად შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ყველა ეტაპი სრულად შესრულდა (100%)
ნაწილობრივ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების სულ მცირე ნახევარი შესრულდა (სულ მცირე 50%)
არ შესრულდა	აქტივობის შედეგის ინდიკატორის შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა (0%)

სტატუსი

- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია
- განხორციელების პროცესი გაუქმებულია
- განხორციელების პროცესი დასრულებულია

მონიტორინგის კრიტერიუმები აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულებას ასახავს. კერძოდ, რეიტინგი აქტივობის შედეგის ინდიკატორის შინაარსობრივ შესრულებას აფასებს (რა მოცულობით შესრულდა დაგეგმილი აქტივობა), ხოლო სტატუსი განხორციელების პროცესის შესახებ გვაძლევს ინფორმაციას. გამოწვევების რეალურ რეჟიმში გამოსავლენად, მნიშვნელოვანია, დავინახოთ არა მხოლოდ შესრულებული საქმის მოცულობა, არამედ პროცედურული მიმდინარეობაც. მაგალითად, შესაძლოა მონიტორინგის ეტაპისთვის აქტივობა უმეტესწილად შესრულდა, თუმცა, პრიორიტეტების ცვლილების ან/და სხვა მიზეზით, მისი დასრულება აღარ იგეგმება. ასეთ შემთხვევაში, შეფასების განხორციელების პროცესში, რეფორმის საბჭოს სამდივნოს აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს შეჩერებული ან/და გაუქმებული აქტივობები, გამომწვევი მიზეზები და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, მიიღოს საჭირო ზომები.

მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

სამოქალაქო სექტორის ჩართულობის დონე გაუმჯობესდა როგორც რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე პროგრესის და წლიური ანგარიშის მომზადების ეტაპზე.

2020 წლის 7 თებერვალს გამართულ რეფორმის საბჭოს სხდომაზე სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის შედეგების პრეზენტაციას ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების

წარმომადგენლები, მათ შორის OECD/SIGMA-ს ექსპერტებიც ესწრებოდნენ. ხაზგასასმელია, რომ შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით წარიმართა. საბჭოს სხდომაზე გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინეს და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კითხვებს უპასუხეს. სამოქალაქო საზოგადოებამ სხდომაზე წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც 2021-2024 წლების საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და თანამდევი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

როგორც პროგრეს ანგარიშის, ასევე წლიური ანგარიშის შემუშავების დროს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას მონიტორინგის ცალკე ეტაპი დაეთმო. რეფორმის სამდივნომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი სტატუს ანგარიშები შეფასებისთვის 2 კვირის ვადით ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუზიარა.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასება სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებისა და პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილი დადასტურების წყაროების ანალიზს ეფუძნება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ მითითებული რეიტინგები შემდეგი აქტივობის შედეგის ინდიკატორებისთვის შეიცვალა:

აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყების შეფასება	სამდივნოს საბოლოო შეფასება
1.3.1.3. შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია[8] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 21)	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
1.3.1.4. შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი[9] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 21)	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
4.2.1.1. სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის[10] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ.37)	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
3.1.2.2. სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია[11] (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 30)	სრულად შესრულდა	არ შესრულდა

კომუნიკაცია

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამდივნოს პრიორიტეტად განისაზღვრა რეფორმის შესახებ როგორც შიდა, ასევე გარე კომუნიკაციის გაძლიერება. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ერთ-ერთი მიზანია რეფორმის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სწორედ ამ მიზნით, 2019 წელს ჩამოყალიბდა PAR კომუნიკაციების ქსელი (PAR Communication Network), რომლის წევრებიც ყველა სამინისტროსა და რეფორმაში ჩართული რამდენიმე წამყვანი სსიპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები არიან. ქსელის საქმიანობას ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების სამმართველო ხელმძღვანელობს. პროცესში აქტიურად მონაწილეობს რეფორმის სამდივნო.

საანგარიშო პერიოდში ქსელის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. დაიწყო საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება, რომელიც პროექტის დახმარებით და ქსელის წევრების აქტიური ჩართულობით განხორციელდება.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის პროექტის - „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - მხარდაჭერით, იგეგმება საჯარო მმართველობის რეფორმის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. პროცესი 2019 წელს დაიწყო და საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული უზრუნველყოფს ქვეყანაში საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესის გაძლიერებას, რეფორმის ფარგლებში მიღწეული წარმატებული, მიმდინარე და სამომავლო აქტივობების პოპულარიზაციას, ამასთან, მიზნად ისახავს საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა (2020-2024) და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდას და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას.

[8] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია“, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.3.
[9] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია“, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 1.3.1.4.
[10] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „საჯარო სერვისების მიწოდება“, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 4.2.1.1.
[11] სამოქმედო გეგმა 2019-2020, მიმართულება: „ანგარიშვალდებულება“, აქტივობის შედეგის ინდიკატორი 3.1.2.2.

ზოგადი პროგრესი

საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში 2016 წლიდან ხორციელდება ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად. რეფორმის დაწყებიდან დღემდე, რეფორმის ფარგლებში ნაკისრი არაერთი ვალდებულება წარმატებით იქნა მიღწეული, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე, ახალი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების ნათლად ჩამოყალიბების მიზნით, განხილულ იქნა თითოეული სფეროს რეფორმის გზამკვლევში მოცემული ამოცანები, მათი შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, ახალი სამოქმედო გეგმის მიზნებისთვის, გზამკვლევში ჩამოყალიბებული ამოცანების ნაწილი შეიცვალა, ასევე, დაემატა ახალი ამოცანები. ახალ სამოქმედო გეგმაში არ მეორდება გზამკვლევის ის ამოცანები, რომლებიც მიმდინარე გამოწვევებისთვის შეუსაბამოდ ჩაითვალა ან/და 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით სრულად მიღწეულ იქნა.

რეფორმის განახლებული ხედვის რეალიზების მიზნით, საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მათ შორის, აღსანიშნავია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის საკანონმდებლო დონეზე დამტკიცება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის სახელმწიფო უწყებების მიერ საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესებს და შედეგად, უფრო ეფექტურს ხდის საჯარო მმართველობას.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების ხელშესაწყობად საქართველომ ასევე დანერგა საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA). ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF) კი გააუმჯობესებს ქვეყანაში სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხს და შესაბამისად, მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს. ამასთან, უზრუნველყოფს სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების მუდმივ განვითარებასა და წინსვლას. ასევე, ხაზგასასმელია, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ძლიერი და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. 2019 წელს რეფორმის პროგრესული და უწყვეტი მიმდინარეობა სამომავლოდ მისი საბოლოო მიზნების მიღწევას განაპირობებს.

საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესის მიმოხილვა

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში, სულ შეფასებულია 28 ამოცანის შედეგის ინდიკატორი და 54 აქტივობის შედეგის ინდიკატორი საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ხუთ სფეროში: პოლიტიკის დაგეგმვა, საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო სერვისების მიწოდება, ადგილობრივი თვითმმართველობა. ვინაიდან საჯარო ფინანსების მართვის მიმართულება არ მოიცავს 2019 წლის IV კვარტლით განსახორციელებელ აქტივობებს, წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ ზოგადად მიმოიხილავს საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყების მიერ შესრულებულ საქმიანობას.

ამოცანებისა და აქტივობების შედეგის ინდიკატორების შესრულების შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემებისთვის იხილეთ დანართი 1 (გვ. 57.)

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შედეგის ინდიკატორები

2019, I-IV კვარტალი



შეფასებული ამოცანის შედეგის ინდიკატორები აჩვენებს, რომ სამიზნე მაჩვენებლები დაგეგმილ ვადებში მიიღწევა. იმ შემთხვევაში, სადაც ამოცანის შედეგის ინდიკატორების გაზომვა 2019 წლის მონაცემებით არ არის შესაძლებელი, ანგარიში აჩვენებს აქტივობების განხორციელების ტემპებს, რაც, საბოლოო ჯამში, 2020 წელს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებასთან ერთად, ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულებაზე იქონიებს გავლენას.

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში 10-დან 9 ამოცანის შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით არ არის შესაძლებელი, რადგან ამისათვის საჭიროა 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელება ან ზოგ შემთხვევაში, 2020 წელს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დასრულება.

ამასთან, ერთი ამოცანის (1.1.2) შედეგის ინდიკატორი სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით სრულად შესრულდა. აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულება უმეტესწილად სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადებში, მცირედი ჩამორჩენით მიმდინარეობს. თუმცა, წინასწარი შეფასებით ეს უარყოფით გავლენას არ იქონიებს შესაბამისი ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულებაზე, გარდა 3.1 ამოცანისა, რომლის განხორციელებაც ხარვეზებით მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში დასასრულებელი 17 აქტივობის შედეგის ინდიკატორიდან, სრულად შესრულდა 11, ნაწილობრივ შესრულდა 3, ხოლო არ შესრულდა - 3 (ვრცლად იხილეთ გვ.: 15).

10 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროგრესის დადებითი დინამიკა	1[12]	10%
პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი	9[13]	90%

17 აქტივობის შედეგის ინდიკატორი



საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შეფასებულია იმ ამოცანის შედეგის ინდიკატორები (2.2.1, 2.2.2, 2.3.1, 2.3.2, 2.3.3), რომელთა აქტივობები 2019 წელს განხორციელდა. აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით 50%-ზე მეტი პროგრესი აღინიშნება, რაც მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით რეფორმა უმეტესად გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი 8 აქტივობის შედეგის ინდიკატორიდან 6 სრულად შესრულდა, ხოლო 2 არ შესრულდა (ვრცლად იხილეთ გვ.: 24).

5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროგრესის დადებითი დინამიკა	5[14]	100%
პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი	0	0%

8 აქტივობის შედეგის ინდიკატორი



ანგარიშვალდებულება

აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში არ არის შესაძლებელი პროგრესის ამოცანის შედეგის ინდიკატორების მიხედვით შეფასება, რადგან ამისათვის საჭიროა 2020 წელს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დასრულება. თუმცა, აქტივობების შესრულების შეფასებით ირკვევა, რომ პროგრესი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებს ჩამორჩება. საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულდა 2019 წელს განსახორციელებელი 2, ხოლო ნაწილობრივ - 5 აქტივობის შედეგის ინდიკატორი. 2 აქტივობის დაწყება კი დამოკიდებულია ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების დასრულებაზე (ვრცლად იხილეთ გვ.: 29).

[12] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2
[13] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1, 1.2.1, 1.2.2, 1.2.3, 1.3.1, 1.3.2, 1.3.3, 1.3.4, 1.4.1
[14] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1, 2.1.2, 2.2.1, 2.2.2, 2.2.3

5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროგრესის დადებითი დინამიკა	0	0%
პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი	5[15]	100%

9 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

სრულად შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	5
არ შესრულდა	2

სახელმწიფო სერვისების მიწოდება

ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შვიდიდან ექვსი ამოცანის შედეგის ინდიკატორის შეფასება სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით არ არის შესაძლებელი, რადგან 1) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული 4 ამოცანა (4.1. – 4.4.) ერთმანეთთან დაკავშირებულია და მოითხოვს სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცებას, რაც საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა; 2) სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ორი ამოცანის (4.5 და 4.7) შედეგის ინდიკატორებიდან 2019 წელს 4.5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი მიუახლოვდა სამიზნე მაჩვენებელს (სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით დაფიქსირდა 50%-ზე მეტი პროგრესი), შესაბამისად, პროგრესი გეგმით განსაზღვრული ვადების მიხედვით მიმდინარეობს, ხოლო 4.7 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შეფასება შესაძლებელი იქნება 2020 წლის ბოლოს, როდესაც დადგინდება, თუ რა დონეზე იმყოფებიან უწყებები ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის კუთხით.

აქტივობების შესრულების შეფასებით ირკვევა, რომ პროგრესი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებს ჩამორჩება. საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულდა 2019 წელს განსახორციელებელი 5 აქტივობის შედეგის ინდიკატორი, 7 - ნაწილობრივ, ხოლო 6 - არ შესრულდა (ვრცლად იხილეთ გვ.: 35).

7 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროგრესის დადებითი დინამიკა	1[16]	14.3%
პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი	6[17]	85.7%

18 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

სრულად შესრულდა	5
ნაწილობრივ შესრულდა	7
არ შესრულდა	6

ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის შეფასება არ არის შესაძლებელი, გამომდინარე იქედან, რომ ამისათვის საჭიროა 2020 წელს დაგეგმილი აქტივობის სრულად განხორციელება. მიუხედავად ამისა, სრულად შესრულდა 2019 წელს დაგეგმილი ორი აქტივობა. მიღწეული პროგრესი აჩვენებს, რომ რეფორმის განხორციელება აღნიშნული მიმართულებით სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში მიმდინარეობს (ვრცლად იხილეთ გვ.: 46).

1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი

პროგრესის დადებითი დინამიკა	0	0%
პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი	1[18]	100%

2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

სრულად შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	0
არ შესრულდა	0

პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული სტატუს ანგარიშების, დადასტურების წყაროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უკუკავშირის გაანალიზების შედეგად, საანგარიშო პერიოდში

[15] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1, 3.2.1, 3.3.1, 3.4.1 და 3.5.1.
[16] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.5.1.
[17] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1, 4.2.1, 4.3.1, 4.3.2, 4.4.1 და 4.7.1.
[18] ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1.

ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა სამდივნოს მიერ შემდეგნაირად შეფასდა:

ამოცანის შედეგის ინდიკატორი:		საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	პროგრესი 2019:
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია				
1.1.2.	პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი, რომლებმაც მიიღო წარჩინების სერთიფიკატი	N/A	51%	72.9%
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა				
2.1.1.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომლებმაც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინეს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები	0	90%	100%
2.1.2.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა	0	60%	45%
2.2.1.	საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა	9%	5%	6%
2.2.2.	საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა	94%	100%	89%
2.2.3.	საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა წილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის კანონთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში	50%	60%	90%
სახელმწიფო სერვისების მიწოდება				
4.5.1.	My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდილი რაოდენობა	427	470	467

აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესი 2019 წლის მონაცემებით





მნიშვნელოვანი მიღწევები

- მთავრობის მიერ დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, სახელმძღვანელო და 10 დანართი
- დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) შესახებ კანონპროექტი და სახელმძღვანელო მეთოდოლოგია
- სსიპ - იუსტიციის სახლში დაინერგა ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF)
- 2019 წელს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსში გადამზადებულ საჯარო მოხელეთა (236) 72,9%-მა (172 მოხელე) წარჩინების სერტიფიკატი მიიღო
- შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია. დაინერგა პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლის მექანიზმი
- დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია (2019-2025 წლების) რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა თვითმმართველობაზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციის მიმართულებით

ძირითადი გამოწვევები

საანგარიშო პერიოდში აქტივობის შედეგის ინდიკატორთა შესრულების პროცესში მთავარი გამოწვევებია აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება, აქედან გამომდინარე კი - განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა. გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა არასაკმარისი ადამიანური რესურსისა და კვალიფიციური ექსპერტის მოძიების მიზეზით განპირობებული ხარვეზებიც. წლიური ანგარიშის ფარგლებში გამოწვევად გამოიკვეთა მთავრობისთვის წარსადგენი დოკუმენტების შემუშავების დროში გაჭიანურება, სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტთა დროული მოძიება და სხვადასხვა საკითხზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების არათანმიმდევრული დაგეგმვა.

საყურადღებოა, რომ წლიურ ანგარიშში აღწერილი გამოწვევების დიდი ნაწილი იმეორებს პროგრეს ანგარიშში გამოვლენილ სირთულეებს. სამოქმედო გეგმის თითოეულ მიმართულებაში წლიური მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევების შესახებ (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გვ. 51).

ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები ეყრდნობა როგორც 2019 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე, 2019 წლის სამი კვარტლის პროგრეს ანგარიშს. გამომდინარე იქედან, რომ პროგრეს ანგარიში რეფორმის საბჭოს 2020 წლის თებერვალში წარედგინა, წლიური ანგარიში სრულყოფილად არ აფასებს პასუხისმგებელი უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულებას, ვინაიდან აღნიშნული პროცესი წინამდებარე ანგარიშის შემუშავების დროსაც მიმდინარეობს. სრული ინფორმაცია სამდივნოს აწ უკვე წლიური ანგარიშის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ 2020 წლის პროგრეს ანგარიშში აისახება.

წინამდებარე ცხრილის სახით მოცემულია ინფორმაცია თუ რა ეტაპზეა სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის ფარგლებში სამდივნოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესი:

რეკომენდაცია, პროგრეს ანგარიში 2019

სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ შემდგომ კვარტლებში განსახორციელებელი აქტივობების დეტალური ანალიზი, რათა სწორად განისაზღვროს მათი განხორციელებისთვის საჭირო დრო და ადამიანური რესურსი

საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შეფასების საფუძველზე, დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები

საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპის დაგეგმვის პროცესში, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა გამორიცხონ აქტივობათა დუბლირების მაგალითები, რათა თავიდან აიცილონ დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არასწორი ხარჯვა

რეკომენდაციის გათვალისწინების პროგრესი

სამდივნომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო იმ აქტივობების ანალიზი, რომლებიც დაგვიანებით ან დადგენილ ვადაში ვერ განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში პროცესი არ დასრულებულა. 2019 წლის პროგრეს და წლიურ ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია საბჭოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის ფარგლებში წარედგინება.

ზემოაღნიშნული ანალიზის დასრულებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივობათა განხორციელების ახალი ვადები და აღნიშნულის შესახებ საბჭოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის წარდგენისას ეცნობება.

რეკომენდაცია მიემართება რეფორმის ახალ ფაზას, რომლის ფარგლებში სამდივნო, შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოფს აქტივობათა დუბლირების სრულად გამორიცხვას.

წლიური ანგარიშის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევების გადასალახად მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელმა უწყებებმა, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, გადახედონ დაგეგმილი აქტივობების შესრულების ვადებს. რეკომენდებულია, აუცილებლობის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი ვადები და აგრეთვე, სამდივნოსთან კოორდინაციით მოძიებულ იქნეს დონორები, რათა ვადებთან ჩამორჩენის გარეშე აღმოიფხვრას ადამიანური რესურსის ნაკლებობასთან დაკავშირებული ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში გამოწვევა იქნება ახალი კორონავირუსის გავრცელების შეკავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გავლენა სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადებზე.

ფინანსური ხარჯები





2019 წლის IV კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება 1 483 281 ლარის ოდენობით. აღიშნული თანხიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 946 938 ლარი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სრულად დაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 5 700 ლარი. აგრეთვე, გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

დონორული დახმარების დარჩენილი ნაწილის სრულად ათვისება მოხდება ეტაპობრივად, დაგვიანებით შესრულებული აქტივობების განხორციელების პროცესში.

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

4 ამოცანა » **10** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **17** აქტივობა » **30** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 10 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 17 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის განვითარება, შედეგზე ორიენტირებული ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბება და მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება.

OECD/SIGMA-ს მიერ 2018 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის[19] რეკომენდაციების საპასუხოდ, რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის რეფორმის მეორე ტალღის წინაპირობად განისაზღვრა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება, სახელმძღვანელო წესების დადგენა და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება. ამასთან, დაიგეგმა საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვა.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, სახელმძღვანელო და 10 დანართი
- განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენ-ტების საფუძველზე საჯარო მოხელეებისთვის შემუშავდა პოლიტიკის ანალიზის ტრენინგ კურსი
- დამტკიცდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ კანონპროექტი და შემუშავდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია

ამოცანა 1.1:

პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:

მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელოს სტანდარტებს

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
N/A	N/A	51%

[19] საბაზისო შეფასება: საჯარო მმართველობის პრინციპები, პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, საქართველო, 2018 წ. მაისი, ხელმისაწვდომია აქ.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.1 ამოცანის 1.1.1 შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით არ არის შესაძლებელი, რადგან პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განახლებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტები (მათ შორის სახელმძღვანელო), რომელთა მიმართებითაც უნდა შეფასებულიყო პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესებული ხარისხი, ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ინდიკატორის გაზომვა შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმის ვადის დასასრულს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2:

პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი, რომლებმაც მიიღო წარჩინების სერთიფიკატი

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
N/A	72,9%	51%

2018-2019 წლებში გადამზადებული 236 საჯარო მოხელიდან 172-მა (72,9%) მიიღო წარჩინების სერტიფიკატი.

2019 წლის პროგრესი

შედეგზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბების პროცესში სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი (წესი).[20]

წესი აყალიბებს პოლიტიკის დოკუმენტების იერარქიას და ეროვნული, სექტორული და ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების მუშავების, დამტკიცების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ერთიან სტანდარტს. ასევე, პირველად ადგენს პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციის გამართვის ვალდებულებას და გაწერს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურას.

30 პოლიტიკის დოკუმენტიდან



წესის მიერ ხარისხის შესაბამისობის დადგენის პროცედურის განსაზღვრა პირდაპირ უკავშირდება სამოქმედო გეგმით ჩამოყალიბებულ ამოცანას პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

პროცესის სამართლებრივად მოწესრიგებამდე, 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (პოლიტიკის დაგეგმვის სამმართველო, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი) 30 პოლიტიკის დოკუმენტის ხარისხის შემოწმება უზრუნველყო (19 სტრატეგია შესაბამის სამოქმედო გეგმასთან ერთად და 11 დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმა), რომლის ფარგლებში კონსულტაციების 52 რაუნდი გამართა. საბოლოოდ, მთავრობას დასამტკიცებლად 24 დოკუმენტი წარედგინა, რომელთაგან 21 (70%) დამტკიცდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, წესის შესაბამისად, სავალდებულო გახდა მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის ხარისხის შესაბამისობის დადგენა მთავრობის ადმინისტრაციის მიერ - სპეციალური ინსტრუქციის (სახელმძღვანელოს) შესაბამისად.



[20] პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ.

წესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელო - მეთოდოლოგიური პაკეტი, რომელიც ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპებისა და საჯარო მოხელეებისა და OECD/SIGMA-ს ექსპერტების პრაქტიკული რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

სახელმძღვანელოს მიზანია:

- განსაზღვროს ქვეყანაში მთავრობის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა და ეტაპები;
- დაადგინოს ხარისხის მინიმალური სტანდარტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მთავრობისთვის წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი;
- პრაქტიკული რეკომენდაციებითა და ინსტრუქციებით დაეხმაროს საჯარო მოხელეებს ხარისხიანი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და გაზომვადი, შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების მიდგომის ჩამოყალიბებაში.

პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო:

- აყალიბებს პოლიტიკის დოკუმენტების ურთიერთმიმართებას;
- აყალიბებს პოლიტიკის დაგეგმვის მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს;
- განსაზღვრავს პოლიტიკის დოკუმენტების სტრუქტურას;
- მოიცავს მიზნების, ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების შემუშავების ზოგად ინსტრუქციებს;
- მოიცავს პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- მოიცავს პრაქტიკულ მაგალითებსა და რეკომენდაციებს;
- მოიცავს მკაფიო მითითებებს ბიუჯეტირებაზე და პოლიტიკის დოკუმენტების კავშირს, როგორც წლიურ ბიუჯეტთან, ასევე ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან.

პოლიტიკის ციკლის ცალკეულ ეტაპებთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითებისა და შაბლონების შემუშავების მიზნით, მომზადდა სახელმძღვანელოს 10 დანართი:

- სიტუაციის ანალიზის ჩატარების ინსტრუქცია;
- ლოგიკური ჩარჩოს შემუშავების ინსტრუქცია;
- ინდიკატორის პასპორტის შემუშავების ინსტრუქცია;
- სამოქმედო გეგმის შემუშავების ინსტრუქცია;
- ბიუჯეტირების ინსტრუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუქცია;
- საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავების ინსტრუქცია;
- ერთიანი ლექსიკონი.

პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ევროპული საჯარო მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რაც მთავრობისთვის მექანიზმია: (1) პოლიტიკის დაგეგმვის საწყის ეტაპზევე მიაწოდოს მოქალაქეებს ინფორმაცია, (2) მოისმინოს და გაანალიზოს მათი მოსაზრებები და (3) აღნიშნულზე დაფუძნებით, გააანალიზოს რეალური საჭიროებები.

OECD/SIGMA-ს მიერ 2018 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიშის მიხედვით, საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვის კომპონენტში საქართველო 0 ქულით შეფასდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეფორმის მეორე ტალღის ფარგლებში, დაიგეგმა საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მის საფუძველზე „საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის“ შემუშავება.

საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ საანგარიშო პერიოდში დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დაიწყო ექსპერტის შერჩევის პროცედურები, თუმცა, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფი მუშაობდა “ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის რეგულაციებისა და პრაქტიკის შესახებ” კვლევის ანგარიშზე. აქტივობის დუბლირების გამორიცხვისა და დამატებითი რესურსების

დაზოგვის მიზნით, სწორედ აღნიშნული კვლევის ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები განისაზღვრა აქტივობის ძირითად შედეგად. კვლევა საანგარიშო პერიოდში დასრულდა.[21]

უმნიშვნელოვანესია, რომ ახლადდამტკიცებულმა წესმა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციის გამართვის ვალდებულება სამართლებრივად დაადგინა. საანგარიშო პერიოდში დაიწყო საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის შემუშავება, რომელიც განახლებულ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ დანართად დაემატება.



სამოქმედო გეგმის 1.1 ამოცანით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროცესში უმნიშვნელოვანესია საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში, განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისად, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობით და საჯარო მოხელეების აქტიური ჩართულობით, განახლდა საჯარო მოხელეებისთვის შემუშავებული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსი, რომელიც პირველად 2018 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, გაერო-ს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის ერთიანი ძალისხმევით, შეიქმნა.

განახლებული კურსის ფარგლებში:

- მოდულების რაოდენობა 9-დან 12-მდე გაიზარდა;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება, ბიუჯეტირება, მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება, ცალკე მოდულებად გამოიყო;
- კურსი პოლიტიკის დაგეგმვის სისტემაში არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესაბამისად განახლდა.

2018-2019 წლებში 45 სახელმწიფო უწყებიდან 236 საჯარო მოხელე გადამზადდა, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, 236 საჯარო მოხელიდან 172-მა (72,9%) მიიღო წარჩინების სერტიფიკატი.

ფაზა:	პერიოდი:		გადამზადებული საჯარო მოხელეები:	წარჩინების სერტიფიკატი მიიღო:
I	ოქტომბერი 2018 – მარტი 2019		191	172
II	ნოემბერი 2019 – მარტი 2020	პირველი ნაკადი 11/2019 – 12/2019	45	დადგინდება საბოლოო შეფასების შესაბამისად
		მეორე ნაკადი 02/2020 – 03/2020	55	დადგინდება ტრენინგების დასრულების შემდეგ

ამოცანა 1.2:

პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

[21] სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკები, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში, 2019. ანგარიში ხელმისაწვდომია აქ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:

მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
N/A	N/A	51%

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2:

მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების შუალედური ან საბოლოო შეფასების ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
N/A	N/A	51%

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3:

მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებ-გვერდებზე

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
N/A	N/A	90%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.2 ამოცანის 1.2.1, 1.2.2 და 1.2.3 შედეგის ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი, რადგან „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 629 დადგენილების მიხედვით განახლებული სახელმძღვანელოს სტანდარტები და წესი მოქმედებს მთავრობის მიერ მხოლოდ 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებზე. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნული შედეგის ინდიკატორების შეფასება შეუძლებელია.

2019 წლის პროგრესი

სახელმძღვანელოს განახლებასთან ერთად მომზადდა მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუქციები, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციას:

- მონიტორინგის მიზნის, მონიტორინგის ანგარიშების ტიპებისა და პერიოდულობის, მონიტორინგის ანგარიშების შაბლონისა და მათი მომზადების პრინციპების შესახებ;
- შეფასების დაგეგმვის, კრიტერიუმებისა და შესაბამისი კითხვების, გავლენის შეფასების მეთოდების, ანგარიშის სტრუქტურისა და მისი მომზადების ძირითადი პრინციპების შესახებ.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის განვითარების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის პროცესს.



სამთავრობო დონეზე პოლიტიკის დაგეგმვის ციკლის ყველა ეტაპის ერთიან ელექტრონულ სივრცეში მოქცევა გაამარტივებს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, ანგარიშგებისა და შეფასების მთლიან პროცესს. ამასთან, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის პოლიტიკის ციკლს და რაც მთავარია, მიმართული იქნება აქტივობების დუბლირების არსებული პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ.

სისტემის შემუშავება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო და აქტიურად განაგრძობს. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების ანალიზის დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსია. პროცესი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

ამოცანა 1.3:

ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:

პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ვადები

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
4 თვე / 2 თვე	N/A	3 თვე / 1 თვე

საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით ამოცანის შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ელექტრონული პლატფორმა ამოქმედდება (სამოქმედო გეგმის მიხედვით - I კვ., 2020 წ.). სწორედ სისტემის ამოქმედებამ უნდა შეამციროს ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ვადები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2:

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლების წილი, რომლებმაც „წარჩინებით გაიარა ტრენინგი“ (completed with distinction)

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0%	N/A	70%

საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით ამოცანის შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემუშავდება ელექტრონული პლატფორმა, მომზადდება ელექტრონული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო და ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.3:

საბჭოს წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი ჩართულობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
30 -მდე კომენტარი	N/A	საბჭოს წევრი სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაკომენტარებულია გეგმით გათვალისწინებული არანაკლებ 50-მდე აქტივობა

საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით ამოცანის შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა შესაძლებელი იქნება ელექტრონული პლატფორმის ამოქმედების შემდეგ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.4:

იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა და მონიტორინგის ანგარიშების წილი, რომლებიც უწყებების მიერ ხარვეზების გარეშეა შევსებული

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0%	N/A	შევსებული დოკუმენტების პირველადი ვერსიების 70%

საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით ამოცანის შედეგის ინდიკატორის პროგრესის გაზომვა შესაძლებელი იქნება ელექტრონული პლატფორმის ამოქმედების შემდეგ, მას შემდეგ, რაც უწყებების წარმომადგენლები სწორედ აღნიშნულ სისტემაში შეძლებენ მუშაობას.

2019 წლის პროგრესი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) მიერ ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების ელექტრონულ რეჟიმში გადატანის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო) განახორციელა სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში არსებული ელექტრონული პორტალების შესახებ პრაქტიკის კვლევა. საანგარიშო პერიოდში მომზადდა კვლევის სამუშაო ვერსია.

პორტალის შემუშავების მიზნით, სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებდა ანტიკორუფციული საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას და აღნიშნულ ჯგუფთან შესრულებული კვლევის გაზიარებას. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროება კონცეფციის შემუშავებამდე არ დამდგარა. უწყების ინფორმაციით, ჯგუფის შექმნა და მასთან უკვე შემუშავებული კვლევის შედეგების გაზიარება კვლავ იგეგმება, თუმცა, აღნიშნული საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის თანახმად, საუკეთესო პრაქტიკის კვლევის საბოლოო ვერსიის მომზადებისა და მისი სამუშაო ჯგუფთან გაზიარების შემდეგ უნდა შემუშავებულიყო ელექტრონული სისტემის კონცეფცია, ხოლო უკვე მის საფუძველზე - ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის შექმნა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევა ელ. სისტემის კონცეფციისა და ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტის შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში საუკეთესო პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა მასზე მუშაობა მიმდინარეობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ აქტიურ ფაზაშია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems) შემუშავების პროცესი. შესაბამისად, რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, რაც სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროგრესს ანგარიშშიც იქნა განხილული, მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე ამოქმედდეს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა, აღნიშნული სისტემის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე კი მოდიფიცირდეს ან უცვლელად გაგრძელდეს ანტიკორუფციული დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების სისტემის მომზადება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით გეგმავს ვალდებულების განხორციელების შემდგომ ნაბიჯებს.

ამოცანა 1.4:

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით

პასუხისმგებელი უწყება: **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:

რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) საფუძველზე შემუშავებული მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტების წილი

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	5%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი, რადგან ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში RIA-ს შესახებ შეტანილი ცვლილება მხოლოდ 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა, შესაბამისად, რეგულირების ზეგავლენის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში მთავრობის მიერ ინიცირებული ვერც ერთი საკანონმდებლო პაკეტი ვერ შემუშავდებოდა. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შეფასება სამოქმედო გეგმის დასასრულს იქნება შესაძლებელი.

2019 წლის პროგრესი

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების მსოფლიოში აღიარებული კარგი მექანიზმია საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) დანერგვა.

RIA-ს ფარგლებში შესაძლებელია ინიციატივების შეფასება ხარჯის, სარგებლისა და რისკების

მიხედვით, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით. RIA-ს მიზანია უპასუხოს ორ ფუნდამენტურ კითხვას:

- არის თუ არა რეგულირების ჩარევა საჭირო და თუ კი,
- როგორია პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა?

ამოცანით გათვალისწინებული შედეგის მიღწევის მიზნით, ცვლილება შევიდა ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში.[22] შედეგად:

- შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები შეფასდება ხარჯების, სარგებლისა და რისკების მიხედვით;
- უზრუნველყოფილ იქნება რეგულირების შედეგების უკეთესი გააზრება (ვინ მიიღებს სარგებელს, ვინ იტვირთავს ხარჯს), ასევე - პირდაპირი და ირიბი ზეგავლენების იდენტიფიცირება;
- დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კონსულტაციების გზით გაიზრდება კანონ-შემოქმედებითი პროცესის გამჭვირვალობა.

კანონში განხორციელებული ცვლილების პარა-ლელურად, საანგარიშო პერიოდში დასრულდა საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენ-ის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მთავრობას დასამტკიცებ-ლად 2019 წლის ბოლოს წარედგინა. აღნიშნული საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის N35 დადგენილებით დამტკიცდა.[23]

დადგენილება განსაზღვრავს RIA-ს განხორციელების წესსა და პირობებს. ამავე დადგენილებით განი-საზღვრა საკანონმდებლო აქტების ნუსხა, სადაც ცვლილების შეტანის შემთხვევაში, სავალდებულოა RIA-ს ჩატარება.

დადგენილებასთან ერთად მთავრობას წარედგინა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტექნიკური სახელმძღვანელო, რომელიც უკვე დამტკიცებული ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმართვისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების პროცესში სათანადო დახ-მარებას გაუწევს ცენტრალური და ადგილობრივი დონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, როგორც საკანონმდებლო ინიციატივის ავტორებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მსხვილი ღონისძიებების შედეგად შეიქმნა ყველა პირობა, რათა გეგმის დასასრულს შეფასდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის მომზადების პროცესში RIA-ს დანერგვის პრაქტიკული შედეგები.

აღსანიშნავია, რომ RIA-ს პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყება სამართალშემოქმედებაზე პასუხისმგებელი 60-მდე საჯარო მოხელის გადამ-ზადება. აღნიშნული მიმართულებით საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების გაძლიერებას მუდ-მივი ხასიათი ექნება და შესაბამისი ტრენინგები რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. გარდა ამისა, RIA-ს სტანდარტებთან დაკავშირებით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საერთო მიდგომებზე შეჯერების მიზნით, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა მონაწილეობით.

შემდგომი ნაბიჯები

- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების ელექტრო-ნული სისტემის ამოქმედება;
- ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავებისთვის საჭირო დოკუ-მენტების ეტაპობრივად მომზადება.

რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, აუცილებელია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი, რათა არ შეფერხდეს ამ აქტივობაზე დამოკიდებული სხვა აქტივობების განხორციელება;
- რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციასთან ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის შემუშავებასთან დაკავშირებით და შეზღუდულ ვადაში მომზადდეს ბიზნეს პროცესების დოკუმენტი, რათა შესაძლებელი იყოს ამოცანის შედეგის დროული მიღწევა.

[22] საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 17[1].

[23] საკანონმდებლო მაცნე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება N 35, 2020 წლის 17 იანვარი.

ფინანსური ხარჯი, 2019

სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით, 2019 წელს განსახორციელებელ აქტივობათა შესასრულებლად განსაზღვრული იყო 59 200 ლარის დონორული დახმარება. აქტივობების ნაწილი საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა გათვალისწინებულზე მეტი - 60 872 ლარი. აღნიშნული სხვაობა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საჯარო კონსულტაციების გამართვის კვლევის განხორციელებისთვის გამოყოფილი დონორული დახმარება (13 500 ლარი) დაიზოგა, რადგან მთავრობის ადმინისტრაცია შეუერთდა საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფს რომელიც ინდიკატორით გათვალისწინებულ კვლევაზე მუშაობდა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ამოცანა 1.1). ასევე, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არ არის ათვისებული პოლიტიკის დაგეგმვის განახლებული მეთოდოლოგიური პაკეტის ბეჭდვისთვის განსაზღვრული თანხა (7 200 ლარი). გასათვალისწინებელია, რომ განსაზღვრულზე (6 600 ლარი) მეტი თანხა (31 813 ლარი) დაიხარჯა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების (პოლიტიკის ანალიზის) ტრენინგ კურსის მომზადებისა და მასალების განხლებისთვის.

II საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

2 ამოცანა » **6** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **9** აქტივობა » **19** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 8 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

საჯარო მმართველობის რეფორმის საჯარო სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების მიზანია ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც დამსახურების პრინციპზეა დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- შემუშავდა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაცია, რამაც უზრუნველყო საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარებისთვის შექმნილი სასწავლო პროგრამების ხარისხის კონტროლი; აკრედიტაცია მიენიჭა ხუთი სასწავლო ცენტრის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს
- 374-მა საჯარო მოხელემ გაიარა აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამები და შეიქმნა აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები, რაც დამატებით კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს
- განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური და ფუნქციური ანალიზი, რაც ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად

ამოცანა 2.1:

დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომლებმაც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინეს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	100%	90%

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების 100%-მა, საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინა 2019 წლის პროფესიული განვითარების გეგმები. შესაბამისად, 2.1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლთან მიმართებით სახეზეა 111%-იანი პროგრესი, რაც მიუთითებს, რომ ბიურომ დაგეგმილზე ადრე, გააუმჯობესა სამიზნე მაჩვენებელი და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2:

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	45%	60%

სამინისტროების 45%-მა[24] უზრუნველყო I და II რანგის თანამშრომლებისთვის საბაზისო პროგრამების ჩატარება. 2.1.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით სახეზეა 75%-იანი პროგრესი, რაც მიუთითებს, რომ პროგრესი დაგეგმილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობს და გვაძლევს პროგნოზირების საშუალებას, რომ 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორი სრულად შესრულდება.

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის შინაარსი, რომელიც საფუძვლად დაედო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შემუშავებას, დაფუძნებულია პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტის დანერგვაზე და გულისხმობს, ისეთი რეგულაციების შემოღებას, რომლის მიზანია პოლიტიკური გავლენისაგან საჯარო სამსახურის გათავისუფლება და სამართლიანი კარიერული ზრდის სისტემის ფორმირება. ამასთან, საჯარო სექტორის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მაღალ კვალიფიკაციასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე.

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანის მიღწევა სწორედ საჯარო მოხელისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას, სასწავლო პროგრამებში მისი სავალდებულო მონაწილეობის დარეგულირებასა და ამ პროცესში საჯარო დაწესებულების ჩართულობას გულისხმობს.

2019 წლის პროგრესი

პროფესიული განვითარების სისტემის შექმნისა და მისი ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, ერთიანი სტანდარტის შესაბამისად, მოამზადონ პროფესიული განვითარების წლიური გეგმები და ანგარიშები.

საჯარო დაწესებულება მოხელის ინდივიდუალურ საჭიროებებს განსაზღვრავს ყოველი წლის დასაწყისში და მათი ანალიზისას ეყრდნობა, როგორც დაწესებულების ორგანიზაციულ საჭიროებებს, ასევე მოხელის შეფასების შედეგებს.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო დაწესებულებებმა დაამტკიცეს და ბიუროს წარუდგინეს პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმები, რომელთა საფუძველზე, საჯარო მოხელეებისთვის დაიგეგმა საბაზისო და დამატებითი სასწავლო პროგრამები.[25]

2019 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრამდე 161 საჯარო დაწესებულებაში განსაზღვრული დამატებითი 905 პროგრამიდან განხორციელდა 94 დამატებითი პროგრამა, რომლის ფარგლებში 520 საჯარო მოხელე გადამზადდა.

პროფესიული განვითარების გეგმებისა და ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოიკვეთა, რომ პირველი წლის გეგმები შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს მოხელეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მომდევნო წლის გეგმები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული მოხელის მიერ განსახორციელებელი საქმიანობიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან საჭიროების ანალიზის საფუძველზე შერჩეული სწავლება ემსახურება არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის ინტერესს, არამედ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებასა და ეფექტური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას.

პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის განხორციელების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა და 2019 წლის 6 მარტს დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N46/ნ ბრძანება „პროფესიული საჯარო მოხელის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

საბაზისო პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლს (აკრედიტაცია) უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

[24] 5 სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

[25] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული განვითარების პროგრამების ორი სახე: საბაზისო და დამატებითი. საბაზისო პროგრამა სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ღია ან დახურული კონკურსის საფუძველზე პირველად ინიშნება მოხელის თანამდებობაზე დანიშვნიდან ერთი წლის განმავლობაში. დამატებით პროგრამებს საჯარო მოხელე გადის საჯარო დაწესებულების მიერ საჭიროების გამოვლენიდან ორი წლის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდის დასასრულს აკრედიტებულია 5 სასწავლო დაწესებულების პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები.[26]

საანგარიშო პერიოდში 374-მა საჯარო მოხელემ გაიარა აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამები, შესაბამისად, შესაძლებელი გახდა პროგრამების შეფასება და მათი რეიტინგის შექმნა.

ტრენინგ ცენტრებისგან მონაწილე მოხელეთა კმაყოფილების დონის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ბიურომ შექმნა აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები, რაც დამატებით კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს. აღნიშნული რეიტინგების შექმნა, გეგმის მიხედვით, 2019 წლის მე-2 კვარტალში იყო გათვალისწინებული, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის მნიშვნელოვანი პერიოდი სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესებს დაეთმო, საჯარო მოხელეებმა აკრედიტებული პროგრამები გეგმით განსაზღვრულ ვადაზე უფრო გვიან გაირეს, შესაბამისად, პროგრამების რეიტინგებიც დაგვიანებით შედგა.[27]

რეფორმის ფარგლებში, საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებასთან ერთად, ეფექტური და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა საჯარო დაწესებულებაში თითოეული საჯარო მოხელის მიმართ სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობა, მათ შორის, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პროცესში.

2019 წლის 5 ნოემბერს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის N1023/სა ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,[28] რომელსაც დაევალა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის საკითხებთან დაკავშირებით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე აქტების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებ(ებ)ის პროექტ(ებ)ის მომზადება.

საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საჯარო სამსახურის ბიუროსა და ლიეტუვას რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლობით, ლიეტუველმა ექსპერტებმა, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად, გააანალიზეს საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის არსებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები და ლიეტუვას გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავეს რეკომენდაციები.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, ბიუროს ორგანიზებით და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ჩატარდა სამი შიდა შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მობილობა, რეორგანიზაციის პროცესის ეტაპები და მის შედეგებთან დაკავშირებული გამოწვევები. შიდა განხილვებში მონაწილეობა მიიღო საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის 60-მდე წარმომადგენელმა.

რეკომენდაციებზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, გადაწყდა კანონმდებლობაში ცვლილების განხორციელება, რაც გულისხმობს „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავებას.

შეხვედრებზე გამოიკვეთა დამატებითი კონსულტაციების გამართვის საჭიროება, რათა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია, რომელიც მთავრობას წარედგინება. აღნიშნული პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

ამოცანა 2.2:

საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის აღსრულების ხელშეწყობისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:

საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
9%	6%	5%

---

[26] სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.

[27] აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების 2019 წლის რეიტინგები.

[28] სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან საჯარო სამსახურის ბიუროს, ფინანსთა სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით არის 6%. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროგრესი დაგეგმილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობს და ბიურო ახლოსაა სამიზნე მაჩვენებელთან.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.2:

საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
94%	89%	100%

საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებულია 36 პოზიცია, რომელთაგან 4 ვაკანტურია. შესაბამისად, ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა საანგარიშო პერიოდისთვის 89%-ს შეადგენს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.3:

საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა წილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის კანონთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
50%	90%	60%

ბიუროს თანამშრომელთა 90%-ს (28 თანამშრომელს) გავლილი აქვს საჯარო სამსახურის კანონთან და მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პროფესიული განვითარების პროგრამები. 2.1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით აღინიშნება 150%-იანი პროგრესი, რაც მიუთითებს, რომ ბიურომ დაგეგმილზე ადრე, გააუმჯობესა სამიზნე მაჩვენებელი და სრულად შეასრულა ამოცანის შედეგის ინდიკატორი.

2019 წლის პროგრესი

საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც საჯარო სამსახურის რეფორმის წამყვანი უწყება, მიზნად ისახავს სიტუაციის ანალიზზე, კვლევებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაიხვეწოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესდეს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვა და დაინერგოს ელექტრონული მმართველობის პროექტები.

შესაბამისად, საჭიროა თავად საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების ზრდა, რათა ბიურომ სათანადოდ უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს რეფორმის განხორციელების პროცესს და საჯარო დაწესებულებები უზრუნველყოს სხვადასხვა მიმართულებით რეკომენდაციებით.

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტის ფარგლებში, ლიეტუველი ექსპერტების მიერ განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციური ანალიზი. შედეგად, მომზადდა ანგარიში, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული საჯარო სამსახურის ბიუროს სტრუქტურა და ფუნქციები, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია, რომ ამოცანა 2.2-ით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად საჭიროა ამოცანის თითოეული აქტივობის შესრულება და საყურადღებოა, რომ საანგარიშო პერიოდში, გეგმა ასეთი მხოლოდ 1 აქტივობის განხორციელებას ითვალისწინებდა (ბიუროს ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის განხორციელება). შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, დინამიკაში ამოცანა 2.2-ის სამივე შედეგის ინდიკატორის შუალედური მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსთვის გათვლილ შედეგებს უახლოვდება.

შემდგომი ნაბიჯები

სამომავლოდ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო გეგმავს დამატებითი კონსულტაციების გამართვას, რათა ჩამოყალიბდეს „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია, რომელსაც მთავრობას წარუდგენს.

რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვა ფართო ფორმატში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რათა ცვლილების პროექტი დროულად წარედგინოს მთავრობას;
- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს სავალდებულო პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების მოძიება.

ფინანსური ხარჯი, 2019

2019 წლის IV კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, სამოქმედო გეგმის ბიუჯეტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო დონორული დახმარება 125 724 ლარის ოდენობით, რომლის ათვისებაც სრულად მოხდა საანგარიშო პერიოდში. საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.



III ანგარიშვალდებულება

5 ამოცანა » **5** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **14** აქტივობა » **19** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 5 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 9 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

ანგარიშვალდებული მმართველობა საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. აღნიშნული მიმართულებით რეფორმის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების კეთილსინდისიერებისა და მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა.

OECD/SIGMA-ს მიერ დადგენილი საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, ანგარიშვალდებულების მიმართულებით სამოქმედო გეგმის მიზანია ქვეყანაში საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტა, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპებზე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა
- აქტიურ ფაზაშია ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდის შექმნის სამუშაოები

ამოცანა 3.1:

ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	10%

სამოქმედო გეგმა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებას ითვალისწინებს 2020 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც დამტკიცდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა არ არის შესაძლებელი.

საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ 2016-2017 წლებში განახორციელა ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები. ამ პროცესის მნიშვნელოვანი გაგრძელების - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სსიპ-ებზე გავრცელებისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით კი, ბიურომ 2018 წელს დაიწყო სსიპ-ების ფუნქციური

და ინსტიტუციური ანალიზი.

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის გადასაწყვეტად განისაზღვრა როგორც მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების სიღრმისეული ანალიზის დასრულება, ასევე, კანონპროექტის შემუშავება, რომელიც ადგენს სსიპ-ების საქმიანობას, კატეგორიებსა და დასაქმებულ პირთა სტატუსს.

2019 წლის პროგრესი

საჯარო სამსახურის ბიურომ 2019 წლის განმავლობაში სსიპ-ების ინსტიტუციური მოწყობის ახალი ხედვის ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. ბიურომ სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შედგენილი კითხვარი გაუგზავნა 110-მდე სსიპ-ს. კითხვარებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სსიპ-ების ფუნქციური ანალიზის პირველი ეტაპი განხორციელდა იმ სსიპ-ების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის წარმოადგენენ საჯარო სამსახურს.[29] შედეგად, სამუშაო პროცესში შემუშავდა მეთოდოლოგია შიდა გამოყენებისთვის და სსიპ-ები დაიყო კატეგორიებად. ბიურომ სსიპ-ების კატეგორიზაციისთვის შეიმუშავა კრიტერიუმების მატრიცა. ასევე, მომზადდა რეკომენდაციები მათზე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელების ფარგლებთან დაკავშირებით.[30]

სსიპ-ების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზზე დაყრდნობით, რომელსაც მოჰყვა სსიპ-ების კატეგორიებად დაყოფა, შემუშავდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც:

- ითვალისწინებს სსიპ-ების კატეგორიებად დაყოფას,
- განსაზღვრავს მათი შექმნის საფუძვლებს და
- მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება/არგავრცელების საკითხებს.

კანონპროექტის შემუშავების პროცესში გაიმართა 3 შიდა განხილვა, რომელსაც სულ 40-მდე მონაწილე დაესწრო. განხილვებში აქტიურად იყვნენ ჩართულები OECD/SIGMA-ს ექსპერტები, მინისტრის მოადგილეები და ცენტრალური საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები. საჯარო სამსახურის ბიურომ მონაწილეებს გააცნო შემუშავებული კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც განხორციელდა სსიპ-ების კატეგორიზაცია და რომლის მიხედვითაც მომზადდა კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.

დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება, ვინაიდან შემოთავაზებული ცვლილებების მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონპროექტის დახვეწა და დამატებითი სამუშაო შეხვედრების ჩატარება მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საჯარო კონსულტაციები დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიაზე ჩამოყალიბების შემდეგ დაიგეგმება. ამ ეტაპზე უწყება შიდა განხილვების ფარგლებში ამუშავებს მიღებულ კომენტარებსა და შენიშვნებს. მას შემდეგ, რაც ცვლილებების პროექტი დამტკიცდება და იდენტიფიცირდება ის სსიპ-ები, რომლებზეც გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, საჯარო სამსახურის ბიურო 2020 წლის IV კვარტლის ბოლომდე შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათ ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელს გახდის სამოქმედო გეგმის 3.1. ამოცანით გათვალისწინებული შედეგის გაზომვას.

ამოცანა 3.2:

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:

Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
3	N/A	30

საანგარიშო პერიოდში Data.gov.ge-ზე ღია მონაცემების რაოდენობა არ შეცვლილა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმა სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ პორტალზე ღია მონაცემების რაოდენობის ზრდისთვის განსახორციელებელი აქტივობის დასრულებას 2020 წლის მეოთხე კვარტლისთვის ითვალისწინებს.

ღია მონაცემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობისა და ანგარიშვალდებულების, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში.[31] საქართველოში შექმნილია პორტალი - DATA.GOV.GE, რომელზეც ღია მონაცემები დამუშავებად და ყველასთვის

[29] სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ.: 5.
[30] იქვე.
[31] Open Knowledge Foundation-ის განმარტებით, ღია არის მონაცემები, რომელთა გამოყენება, ხელახალი შექმნა და გავრცელება შეუძლია ყველას.

ხელმისაწვდომ ფორმატში ქვეყნდება. ეს ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს შეუფერხებლად ისარგებლონ საჭირო მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.

2019 წლის პროგრესი

სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილია რიგი ღონისძიებები ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა საანგარიშო პერიოდში გეგმა მხოლოდ პორტალის განახლებას ითვალისწინებდა.

2019 წლის ბოლოსთვის სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაასრულა ღია მონაცემების პორტალის ახალი ფუნქციონალის აღწერის დოკუმენტის მომზადება, რაც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საანგარიშო პერიოდში ღია მონაცემების პორტალზე განახლდა 8 მონაცემთა ცხრილი:

- საქართველოს ეროვნული ბანკი - 3 მონაცემთა ცხრილი;
- სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო - 2 მონაცემთა ცხრილი;
- სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - 2 მონაცემთა ცხრილი;
- საქართველოს ეროვნული არქივი - 1 მონაცემთა ცხრილი.

გარდა ამისა, მომზადდა და 2020 წლის 21 იანვარს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) დახმარებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების, მედიის, ბიზნესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად DATA.GOV.GE-ის საჭიროებების, გამოწვევებისა და განვითარების გეგმების განხილვა. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ღია მონაცემების პორტალის განახლების პერსპექტივებისა და ახალი ფუნქციონალის შესახებ.

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მწირი შიდა რესურსისა და პორტალის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა დამატებითი მხარდაჭერის მოძიება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დაიწყო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების დასრულების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. უწყება თანამშრომლობს გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასთან, რომლის მხარდაჭერითაც პორტალის განახლების დასრულება 2020 წლის სექტემბერში იგეგმება.

ამოცანა 3.3:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, “რეაგირების გარეშე” სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
12%	N/A	8%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, „რეაგირების გარეშე“ სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი გაიზომება მას შემდე, რაც დაინერგება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული აქტივობის შესრულებას სამოქმედო გეგმა 2020 წლის მეოთხე კვარტლისთვის ითვალისწინებს. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (საო) უმთავრესი მისიაა საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით ღირებულებისა და სარგებელის შექმნა საზოგადოების, პარლამენტისა და მთავრობისთვის. საო-ს აუდიტორული საქმიანობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს რეკომენდაციები და მათი შესრულების შედეგად მიღწეული პროგრესი.

2016 წელს საო-მ დაამტკიცა „რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის“ სახელმძღვანელო, რომელიც 2018 წელს განახლდა. მიმდინარე სამოქმედო გეგმის პრიორიტეტად კი განისაზღვრა გაცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა და მათი მონიტორინგის გამართული მექანიზმის ჩამოყალიბება.

2019 წლის პროგრესი

სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების შესაბამისად, რეფორმის მიმდინარე სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს საო-ს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის

გაძლიერებას, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხი. შესაბამისად, დაიგეგმა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემის შემუშავება, რომლის მეშვეობით საო მუდმივ რეჟიმში შეძლებს გაცემული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგს და უზრუნველყოფს მათი შესრულების სტიმულირებას.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. თავდაპირველად მომზადდა ელექტრონული სისტემის ფუნქციონალის პროტოტიპი, ხოლო სისტემა დეველოპერული კომპანიის მიერ სამოქმედო გეგმის ვადების შესაბამისად შეიქმნა.[32] წინამდებარე ანგარიშის მომზადების ეტაპზე მიმდინარეობს სისტემის ტესტირება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩართულობით. მიმდინარე წლის ივნისიდან იგეგმება დამატებით მინიმუმ 4 სამინისტროს მონაწილეობა, რათა სხვადასხვა საჯარო უწყებებთან აქტიური თანამშრომლობით გაანალიზდეს სისტემის ფუნქციონალის ეფექტიანობა და გაუმჯობესდეს მისი მუშაობა. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა სრულად 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

ელექტრონული სისტემის შემუშავება უზრუნველყოფს მონიტორინგის მაღალ ხარისხს, რაც ხელს შეუწყობს საო-ს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას და შეამცირებს "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნული მონაცემი სამოქმედო გეგმის ვადების შესაბამისად, 2020 წლის IV კვარტლის ბოლოს გაიზომება.

ამოცანა 3.4:

საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1:

ცენტრალურ დონეზე, სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	51%

ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის შეფასება მოხდება კვლევით, რომლის ჩატარებაც იგეგმება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის შესრულების შემდეგ. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა არ არის შესაძლებელი.

2019 წლის პროგრესი

სამოქმედო გეგმის ამოცანად განისაზღვრა ღია მმართველობის შესახებ საზოგადოების, მათ შორის, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება და ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ინფორმაციის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეყანაში ღია მმართველობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ თანმიმდევრული და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და ღია მმართველობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში" (GGI) მხარდაჭერით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ (საჯარო მმართველობის სამმართველო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია) დაიწყო მუშაობა ღია მმართველობა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის და ღია მმართველობა საქართველოს პირველი ვებგვერდის შექმნაზე.

საანგარიშო პერიოდში:

- მომზადდა კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, რომელიც 3 სამიზნე აუდიტორიას მიემართება: ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დასაქმებული საჯარო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მოქალაქეები.
- GGI-ის მხარდაჭერით, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ დაიწყო მუშაობა ღია მმართველობა საქართველოს ვებგვერდის შექმნაზე. მომზადდა ვებგვერდის დეტალური აღწერა და GGI-ის მხარდაჭერით შეირჩა ვებ-გვერდის დეველოპელური კომპანია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალზე მუშაობა, რომელიც 2020 წლის ივნისში დასრულდება.

[32] საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დაიწყო საქართველოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რომლის შემუშავების პროცესშიც გათვალისწინებული იქნება კომუნიკაციის სტრატეგიის ძირითადი მიგნებები.

ამოცანა 3.5:

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1:

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
15%	N/A	10%

ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გასაზომად საჭიროა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მთავარი აქტივობის განხორციელება, რაც ინფორმაციის თავისუფლების კანონის მიღებას გულისხმობს. სწორედ შეცვლილი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში უნდა გაიზომოს შედეგი, კონკრეტულად კი - ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებლის შემცირება.

ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ფარგლებში, მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული კანონმდებლობა და უზრუნველყოს აღნიშნულის თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში. ამ მიმართულებით უმთავრესი აქტივობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პარლამენტისთვის წარდგენაა.

2019 წლის პროგრესი

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისა და მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გადაეცა 2019 წლის 4 ოქტომბერს, მთავრობის N484 დადგენილებით.[33] საანგარიშო პერიოდში მთავრობის ადმინისტრაციამ დაიწყო და აქტიურად განაგრძობს კანონპროექტის გაცნობასა და დამუშავებას. ამ ეტაპის დასრულებისთანავე გაიწერება შემდგომი ნაბიჯები.

შემდგომი ნაბიჯები

ანგარიშვალდებულების ქვეთავში იგეგმება შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ კონსულტაციების გამართვა და პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვა და მასში სახელმწიფო უწყებების ჩასართავად აქტიური საკომუნიკაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ღია მონაცემების პორტალის - data.gov.ge განახლებისთვის დონორი ორგანიზაციის მოძიება და პორტალზე ახალი ღია მონაცემების დამატება;
- ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ღია მმართველობა საქართველოს ვებ-გვერდის შექმნის პროცესის დასრულება;
- ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით სამუშაო პროცესის დაგეგმვა და საჭიროების შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების კოორდინაცია ექსპერტული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

[33] საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N484 დადგენილება.

რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, აუცილებელია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავება;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის საბოლოო ვერსიით ჩამოყალიბება და განხორციელების დაწყება;
- სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უზრუნველყონ შესაბამისი ამოცანების განხორციელების პროცესში სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართვა, რათა შეამცირონ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სახელმწიფო უწყებების პასიურობასთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური ხარჯი, 2019

ანგარიშვალდებულების ქვეთავში 2019 წლის პირველი ოთხი კვარტლით გათვალისწინებული ამოცანებისა და მათი აქტივობების შესასრულებლად სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 103 700 ლარი, რომლიდანაც 85 700 ლარი იქნა ათვისებული.



საანგარიშო პერიოდში არ დაიხარჯა საჯარო სამსახურად ჩათვლილი სსიპ-ების ინსტიტუციური ანალიზის განსახორციელებლად (3.1.4 აქტივობა) ადგილობრივი ექსპერტის დაქირავებისთვის გამოყოფილი თანხა - 18 000 ლარი, რადგან აღნიშნული სერვისი უსასყიდლოდ განხორციელდა.

IV სახელმწიფო სერვისების მიწოდება

7 ამოცანა » **8** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **28** აქტივობა » **35** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 7 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 18 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება. აღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად, ფუნდამენტურია სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- იუსტიციის სახლში დაინერგა ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი - საერთო შეფასების ჩარჩო (CAF)
- My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების რაოდენობა 467-მდე გაიზარდა
- მოქალაქის პორტალი My.gov.ge ადაპტირდა უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის
- შემუშავდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებზე

სახელმწიფო სერვისების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნის გარშემო რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში 4 ურთიერთდაკავშირებული ამოცანა ჩამოყალიბდა:

ამოცანა 4.1:

მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

ამოცანა 4.2:

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

ამოცანა 4.3:

სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით

ამოცანა 4.4:

სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:

სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის (PSDP) დამტკიცების შემდეგ, ცენტრალურ დონეზე შექმნილი/ადაპტირებული სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	15

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:

PSDP-ის დამტკიცების შემდეგ შექმნილი/ადაპტირებული ცენტრალური სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	15

საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად, ამოცანის 4.1.1 და 4.2.1 შედეგის ინდიკატორების გაზომვა შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი სამოქმედო გეგმის თანახმად 2019 წლის III კვარტალში უნდა დამტკიცებულიყო. მას შემდეგ, რაც დოკუმენტი დამტკიცდება და სერვისის მიმწოდებელი უწყებები დანერგავენ მას შიდაუწყებრივად, შესაძლებელი გახდება იმ სერვისების რაოდენობის დათვლა, რომლებიც აღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით შეიქმნა/ადაპტირდა და რომლებიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1:

სახელმწიფო სერვისების რაოდენობა, რომელთა ხარისხი შეფასებულია სერვისის ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	5

საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა სერვისების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს სერვისის ინდექსის მეთოდოლოგია. შესაბამისად, 4.3.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია.

შემუშავებულია სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, მოხდება სახელმწიფო სერვისების შეფასება. კონცეფციის დოკუმენტში გაწერილია ინდექსის განხორციელების კონკრეტული გეგმა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი უწყებები პერიოდულად ჩაერთვებიან სერვისების შეფასების პროცესში. აღნიშნული გეგმის თანახმად, შეფასების პროცესი დაიწყება 2020 წლის სექტემბრიდან, შესაბამისად, ამავე პერიოდში გახდება შესაძლებელი სახელმწიფო სერვისების ინდექსის მიხედვით შეფასებული სერვისების რაოდენობის დადგენა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.2:

3 სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელი უწყების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	70%

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც სამოქმედო გეგმის თანახმად, 2019 წლის IV კვარტალში უნდა მომზადებულიყო (თავად კვლევის ჩატარება გეგმის შესაბამისად გაწერილია 2020 წლის II-IV კვარტლებში). შესაბამისად, 4.3.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა საანგარიშო პერიოდში არ არის შესაძლებელი. მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიის შემუშავების, მისი შესაბამისი ტრენინგ მოდულის დანერგვისა და სერვისის მიმწოდებელი უწყებების წარმომადგენელი თანამშრომლების გადამზადების შემდეგ, კონკრეტულ უწყებებში ამავე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ჩატარდება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევები და სწორედ ამის შედეგად გამოვლინდება შესაბამისი უწყების კვლევის მაჩვენებლები.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1:

ახლადშექმნილი/ადაპტირებული საჯარო სერვისების რაოდენობა, რომელთა ფასწარმოქმნა განხორციელდა ფასწარმოქმნის ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	15

საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც სამოქმედო გეგმით თანახმად, 2019 წლის IV კვარტალში უნდა მომზადებულიყო, თუმცა, აღნიშნული ასევე დამოკიდებულია სერვისების ერთიანი პოლიტიკის დამტკიცებაზე. შესაბამისად, 4.4.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა არ არის შესაძლებელი. განფასების მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ, უწყებები გაივლიან შესაბამის ტრენინგებს და დანერგავენ ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიას. სწორედ აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად გახდება შესაძლებელი იმ ახლადშექმნილი თუ ადაპტირებული სერვისების რაოდენობის იდენტიფიცირება, რომელთა ფასწარმოქმნაც ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განხორციელდა.

2017-2018 წლების განმავლობაში სახელმწიფო სერვისების მიწოდების კომპონენტის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა ერთიანი პოლიტიკის შექმნისთვის სწორი საფუძვლის მომზადებაზე. პროცესი თანმიმდევრულად გაგრძელდა 2019 წელს.

სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტრატეგიის შექმნას, მნიშვნელოვანი წინაპირობაა სერვისების ქვეთავის პირველი 4 ამოცანის მსხვილი აქტივობების შესრულების პროცესში.

ერთიან სტრატეგიას კონცეპტუალურად ეყრდნობა და მასში იდენტიფიცირებულ გამოწვევებს ეხმიანება შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:

- სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია
- სერვისის მიწოდების სახელმძღვანელო და პროცედურები
- ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია
- სახელმწიფო სერვისების ინდექსის კონცეფცია
- მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების მეთოდოლოგია
- ერთიანი შეფასების ჩარჩოს მეთოდოლოგია (CAF)

2019 წლის პროგრესი

საანგარიშო პერიოდში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავდა პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც მთავრობას მას შემდეგ წარედგინება, რაც მასში აისახება არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები და კომენტარები.

ახლადშემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტში შემოთავაზებულია საერთო მიდგომები სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელთათვის, რათა მოქალაქეების ჩართულობითა და მათ საჭიროებებზე დაყრდნობით შეიქმნას სერვისები, დაიხვეწოს მათი მიწოდების პრაქტიკა და საბოლოო ჯამში, სერვისები გახდეს უფრო ეფექტიანი და მაქსიმალურად მორგებული მომხმარებელთა საჭიროებებზე.

საანგარიშო პერიოდში ვერ მომზადდა სერვისის დიზაინის გზამკვლევი და შესაბამისი ინსტრუქციები, რადგან ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის საერთაშორისო ექსპერტის დროულად მოძიება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა შესაბამისი ექსპერტი დაქირავებულია და მიმდინარეობს დოკუმენტების შემუშავება. ხაზგასასმელია, რომ ამავე მიზეზით გეგმით განსაზღვრულ ვადებში სრულად ვერ შესრულდა ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობის შედეგის ინდიკატორებიც, როგორიცაა:

- სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;
- ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავება და
- მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის სტანდარტის შემუშავება.

სახელმწიფო სერვისების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში დანერგვა კომპლექსური საკითხია, რაც საქართველოსთვის სახელმწიფო სერვისების მიმართულებით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია გამოცდილი და კვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა და მათი დახმარება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს გამოწვევა გეგმის შემუშავების ეტაპზევე იდენტიფიცირდა, როგორც პოტენციური ხელის შემშლელი ფაქტორი (რისკი), რაც სამოქმედო გეგმაშიც მითითებულია.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავდა სერვისის დიზაინის გზამკვლევისთვის საჭირო ინსტრუქციის ნაწილი, რომელიც ეყრდნობა დიზაინზე ორიენტირებული აზროვნების “design thinking”-ის პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს სერვისების შექმნისა და განვითარების პროცესში მომხმარებელთა

საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას, შესაბამისობაშია პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული სერვისების დიზაინის ერთიანი სტანდარტის შემუშავებასთან და წარმოადგენს მისი შექმნის საფუძველს.

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებების იდენტიფიცირების მიზნით:

- მომზადდა პირველადი შეფასების დოკუმენტი, რაც გულისხმობს არსებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შესწავლასა და მის დაკავშირებას პოლიტიკის დოკუმენტში ამ მიმართულებით იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან;
- ჩატარდა შეხვედრები სერვისის მიმწოდებელი უწყებების ნაწილთან. მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები დამატებით უწყებებთან, რის შემდეგაც მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობას წარედგინება.

სახელმწიფო სერვისების ხარისხი

სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ასევე სერვისის ხარისხის სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული სერვისებით მომხმარებლების სრულ და მუდმივ კმაყოფილებას და ასევე გაითვალისწინებს სახელმწიფო სერვისის მიწოდების ფიზიკურ და ელექტრონულ საშუალებებს.

სერვისის ხარისხის ეროვნული ინდექსი (ე.წ. სახელმწიფო სერვისის ინდექსი) მიმდინარე რეფორმის განმავლობაში შემუშავებული „სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის“ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ნაწილია, რომელიც ერთიანი სტანდარტების დანერგვის გზით სერვისების ხარისხის უზრუნველყოფასა და მუდმივ შემოწმებას გულისხმობს.

სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება ასევე მოიაზრებს სერვისების ინდექსის პორტალისა და მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის სტანდარტის შემუშავებას, ამასთანავე, ითვალისწინებს თვითშეფასების მექანიზმის დანერგვით (საერთო შეფასების ჩარჩო - CAF) სერვისების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

წლიური მონიტორინგის ეტაპზე შემუშავებულია სერვისის ინდექსის საბოლოო ვერსია, რომელიც შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის სახელმწიფო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს წარედგინა.

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის სახელმწიფო სერვისების ქვეთავის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

სსიპ – იუსტიციის სახლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც ევროკავშირში შექმნილი და აპრობირებული ხარისხის მართვის საერთაშორისო მექანიზმი – საერთო შეფასების ჩარჩო დანერგა.

აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების/შესაძლებლობების გაზომვას; პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებას, ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა მოტივაციის, კვალიფიკაციის, პროდუქტიულობის გაზრდას, ორგანიზაციის მუდმივ განვითარებასა და წინსვლას.

სახელმწიფო სერვისების მიმართულებით ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების ასევე მნიშნელოვანი კომპონენტია სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება. საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს მუშაობა ფასწარმოქმნის ახალი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებაზე. წლიური მონიტორინგის ეტაპისთვის:

- ადგილობრივი ექსპერტის მიერ, არსებული პრაქტიკის შესასწავლის მიზნით, ჩატარებულია შეხვედრები სახელმწიფო უწყებებთან;
- საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებულია ქვეყანაში სერვისების ფასწარმოქმნის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის შესახებ პირველადი ანგარიში;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად იგეგმება განფასების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.

ამოცანა 4.5:

სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.5.1:

My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდილი რაოდენობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
427	467	470

საანგარიშო პერიოდში 4.5.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით აღინიშნება 99.3%-იანი პროგრესი, რაც მიუთითებს, რომ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო ერთ წელში მიუახლოვდა სამიზნე მაჩვენებელს და 2020 წლის ბოლოს სრულად შეასრულებს ინდიკატორით განსაზღვრულ შედეგს.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოში დაიხვეწოს ელექტრონული სერვისების მიწოდების სისტემა იმგვარად, რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოქალაქისთვის.

სწორედ ამ მიზნით, 2012 წელს შეიქმნა სახელმწიფო სერვისების ერთიანი პორტალი (MY.GOV.GE), როგორც საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმა. ამჟამად my.gov.ge-ზე 450-ზე მეტი მომსახურებაა განთავსებული.

სამოქმედო გეგმის ამოცანაა მომხმარებლისთვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ონლაინ სერვისები და კიდევ უფრო მეტმა მოქალაქემ შეიტყოს ასეთი შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნულის პარალელურად, მთავრობის მიერ რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში იდენტიფიცირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სერვისების მიწოდებისა და ელ-მომსახურების სფეროში ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს არ არსებობა.

სწორედ ამ პრობლემის სამართლებრივ გადაწყვეტას ემსახურება სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შემუშავებული საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია, თუმცა მთავრობას არ წარდგენია.

კანონპროექტის მიზანია:

- საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- მოქალაქისა და ბიზნესისათვის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა;
- ელექტრონული მომსახურების გამარტივება;
- ელექტრონული მომსახურების უფრო იაფად, მარტივად და სწრაფად მიღების შესაძლებლობის შექმნა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მომსახურების არაელექტრონული ფორმით მიღების შემთხვევაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამოცანის საბოლოო შედეგის მიღწევა გულისხმობს პორტალის გაძლიერებას ისეთი აქტივობებით, როგორიცაა:

- My.gov.ge-ზე უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლებისათვის გარემოს ადაპტირება;
- პორტალის გამოყენების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- სახელმწიფო სერვისების გამოყენების სასწავლო მასალის შემუშავება;
- პორტალზე უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა.

MY.GOV.GE-ს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის საანგარიშო პერიოდში არაერთი ღონისძიება გატარდა, მათ შორის:

- 2019 წლის განმავლობაში სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ პორტალი ადაპტირდა უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლისთვის და გამართულად ამოქმედდა ვებ-გვერდზე „თავსებადობის მენიუ“.
- ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ვებ-გვერდზე დაინერგა უკუკავშირის მექანიზმი, რაც გულისხმობს როგორც კონკრეტული სერვისების შესახებ, ასევე პორტალთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის მოსაზრებების გაზიარებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას. ვებ-პორტალზე უკუკავშირის მექანიზმი 2019 წლის განმავლობაში სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა. შეზღუდული რესურსიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ფუნქციონალის სათანადოდ დატესტვა. მექანიზმი სრულად ამოქმედდება 2020 წლის სექტემბერში.
- 2019 წელს დასრულდა პორტალის პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ტრენინგების ციკლი, რომელიც სხვადასხვა აუდიტორიისთვის 2018 წელს დაიწყო. აღნიშნული ტრენინგების მიზანია ფართო საზოგადოებისთვის ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელებული ძირითადი ცვლილებების, სანდო ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება. გეგმის შესაბამისად, სულ 450-ზე მეტი ადამიანი გადამზადდა.

წლიური ანგარიშის შემუშავების ეტაპისთვის:

- პორტალზე ინტეგრირებულია 467 სერვისი, მათ შორის 2019 წელს დაემატა 30 ახალი სერვისი. უმნიშვნელოვანესია, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამოცანა 4.5-ის შედეგის ინდიკატორის თანახმად, 2020 წლისთვის სერვისების სამიზნე რაოდენობამ 470 განისაზღვრა. შესაბამისად, პასუხისმგებელი უწყება 1 წლით ადრე დაგეგმილზე მეტად მიუახლოვდა საბოლოო შედეგს.
- წლიური მონიტორინგის ეტაპისთვის, პორტალზე სულ რეგისტრირებულია 185 817 ფიზიკური პირი.
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ 103 მილიონს გადააჭარბა.
- პორტალის საშუალებით სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის სერვისით 2019 წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნილია 20 793 წერილი.
- მოქალაქის პორტალზე 2019 წელს დარეგისტრირდა 91 948 ფიზიკური პირი, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, გარდა ფიზიკური პირებისთვის გათვალისწინებული სერვისებისა, ასევე ისარგებლონ პორტალზე იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი სერვისებით თუ ისინი წარმოადგენენ ამ იურიდიული პირების დირექტორებს ან დირექტორებისგან უფლებამოსილ პირებს.
- თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 83 კომუნალური და სხვა სახის გადასახადები.
- 2018 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პორტალზე განთავსებული სერვისების გამოყენების მაჩვენებელი - 2018 წლის ბოლოსთვის იყო - 154 396, ხოლო 2019 წლის ბოლოს - 305 168.

ამოცანა 4.7:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.7.1:

კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შეფასების საერთო შეწონილი ქულის ზრდა 20%-ით

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
24	N/A	29

საანგარიშო პერიოდში 4.7.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა არ არის შესაძლებელი, რადგან საანგარიშო პერიოდში შემუშავებული კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით (შემუშავდა გეგმის თანახმად) საჭიროა უწყებებს მიეცეთ დრო ჩაატარონ შესაბამისი სამუშაოები, რის შემდეგაც დადგინდება, თუ რა დონეზე იმყოფებიან ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის კუთხით. უწყებების შეფასება დაგეგმილია 2020 წლის ბოლოს.

მაღალი სტანდარტის მმართველობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და ინფორმაციული სისტემების დაცულობის მაღალი ხარისხი.

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო ის ორგანოა, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურების ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს.

გეგმით განსაზღვრული ამოცანის მიღწევის მიზნით, დიდი ბრიტანეთის საელჩოს ჩართულობითა და დიდი ბრიტანეთის კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრის დარგობრივი ექსპერტების მონაწილეობით, შეიქმნა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული დაფუძნებულია ბრიტანეთის მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებაზე, საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკებზე, სტანდარტებსა (ISO 27001) და მეთოდოლოგიაზე - CMMI.

მეთოდოლოგიით ჩამოყალიბდა პოტენციური კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტთა სია, რომელიც შედგება როგორც საჯარო, ასევე კომერციული ორგანიზაციებისგან. კომერციული ორგანიზაციები შერჩეულია შემდეგი სფეროებიდან: ფინანსური ინსტიტუტები, საკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებლები, ენერგეტიკა, ტრანსპორტირება. სია შედგენილი იყო დარგობრივი მარეგულირებელი ორგანიზაციების - საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი), საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მონაწილეობით.

მეთოდოლოგიის განხორციელების მიზნით შეიქმნა კითხვარი, რომელიც უნდა შეივსოს თითოეული პოტენციური კანდიდატი ორგანიზაციის მიერ. კითხვარის ფარგლებში განისაზღვრება ყოველი ორგანიზაციის ფარგლებში მნიშვნელოვანი სისტემების კრიტიკულობის საკითხი. კითხვარის შევსების მოქნილობისათვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შეიქმნა ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები.

ამოცანის მიზნის მიღწევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო უწყებებში ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომლის

საშუალებითაც შესაძლებელია ისეთი ქმედებების გამოვლენა, რომლებიც მიუთითებს ინფორმაციული სისტემის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევაზე ან მასში შეღწევაზე.

წლიური მონიტორინგის ეტაპისთვის სატესტო ქსელური სენსორები განთავსებულია მხოლოდ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოში. საყურადღებოა, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნულის განხორციელება დამატებით 2 სახელმწიფო უწყებაში, რადგან განხორციელების ეტაპზე პრიორიტეტები შეიცვალა და ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა სხვა მიმართულებით დაიხარჯა, კერძოდ, განახლდა Microsoft ლიცენზიები, აღნიშნულმა კი სახსრების დეფიციტი შექმნა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე სრულად განახლდა კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა. კიბერჰიგიენის კურსი საჯარო მოხელეებისათვის შემდეგ თემატიკას მოიცავს:

- პერსონალური კომპიუტერის უსაფრთხოება
- პაროლების უსაფრთხოება და მენეჯმენტი
- უკაბელო ქსელები
- სოციალური ქსელების უსაფრთხოება
- ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი
- ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოება
- უსაფრთხო ინტერნეტი
- მობილური მოწყობილობების უსაფრთხოება
- კიბერ შეტევის ვექტორების მიმოხილვა

აღნიშნული კიბერჰიგიენის საბაზისო კურსი წარმოადგენს სრულ სატრენინგო მასალას და მოიცავს როგორც საინფორმაციო მასალებს, ისე - მიღებული ცოდნის შემოწმებისათვის განკუთვნილ ტესტებს. გარდა ამისა, შექმნილია ვიდეოგაკვეთილებიც, რომლებიც ტრენინგის მონაწილისთვის ინფორმაციის მიწოდებას ისახავს მიზნად.

საანგარიშო პერიოდში ასევე იგეგმებოდა სკოლებისათვის კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინის შემუშავება, თუმცა აღნიშნული ვერ განხორციელდა, რადგან ვერ მოხერხდა შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის მოძიება გეგმით განსაზღვრულ პერიოდში.

შემდგომი ნაბიჯები

- სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნების/კომენტარების დამუშავება, საბოლოო სახით ჩამოყალიბება და დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენა;
- უწყებათა შეფასება, რათა დადგინდეს რა დონეზე იმყოფებიან ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით;
- სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის თანმდევი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება და მიღება;
- სკოლებისთვის კიბერუსაფრთხოების სასწავლო დისციპლინის შექმნის მიზნით, ექსპერტთა დროული მოძიება;
- My.gov.ge-ზე ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალების განთავსება, რომლის განხორციელება დასრულდება 2020 წლის მაისში.

რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ჩამორჩენის მაქსიმალურად შესამცირებლად და 2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოკლე ვადებში უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის განხილვის დასრულება და დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგენა, რათა არ შეფერხდეს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებაც;
- სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, უწყებათა პასიურობის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წინადადებები my.gov.ge-ზე ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებით და განსახილველად წარუდგინოს რეფორმის საბჭოს;
- საბჭოს სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფთან ერთად, სამუშაო ფორმატში განისაზღვროს სახელმწიფო სერვისების მიწოდების ერთიანი პოლიტიკის სხვადასხვა კომპონენტზე პასუხისმგებელი უწყებები;
- მოძიებულ იქნეს ფინანსები სატესტო ქსელური სენსორების დამატებით 2 უწყებაში განთავსებისთვის;
- სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ განაგრძოს დონორებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან მიმართებით აღმოიფხვრას ადამიანური რესურსის ნაკლებობის პრობლემა.

ფინანსური ხარჯი, 2019

სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2019 წელს გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად, გათვალისწინებული იყო მხოლოდ დონორული დახმარება.[34]



საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ვინაიდან გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული რესურსი გეგმის ბიუჯეტის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილ და დახარჯულ თანხებს შორის სხვაობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: საანგარიშო პერიოდში არ დახარჯულა სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციისთვის მოსამზადებელი თანხა (70,600 ლ.), ასევე, არ დახარჯულა დონორის თანხა (2,500 ლ.), რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად. საანგარიშო პერიოდში არ ათვისებულა სახელმწიფო უწყებებში ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემის დასანერგად განკუთვნილი თანხა (442 000 ლ.), რომლითაც უნდა მომხდარიყო აპარატურის შესყიდვა. ასევე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის ათვისებული სკოლებისათვის კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინის შექმნისთვის გამიზნული თანხა (55 089 ლ.).

[34] ფინანსური დანახარჯები დაანგარიშებულია ლარში 31 დეკემბერის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით (1 აშშ დოლარი - 2,8677 ლარი).

V საჯარო ფინანსების მართვა

3 ამოცანა » **4** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **7** აქტივობა » **19** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 0 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 0 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა.

პროგრესს ადასტურებს სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების 2017 წლის შეფასება.[35] ასევე, პროგრესზე მეტყველებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიში[36] და ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული ღია ბიუჯეტის კვლევა (2017),[37] რომლის მიხედვით, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში მოექცა.

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საჯარო ფინანსების მართვის კომპონენტის მიზანს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა საჯარო ფინანსების მართვის კომპონენტში არ ითვალისწინებს 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით შესასრულებელ ამოცანებს, თუმცა საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- შეირჩა საპილოტე სფეროები, რომლებზეც 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში აისახება ინფორმაცია მიმდინარე (საბაზისო) და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ
- DSGE მოდელში აისახა საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი
- 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით მომზადდა მოქალაქის გზამკვლევი
- შემუშავდა სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა კორპორატიული მართვის ძირითად პრინციპებს
- განისაზღვრა იმ სახელმწიფო საწარმოთა კრიტერიუმები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ)
- შემუშავდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი

[35] სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის შეფასების ანგარიში, საქართველო, ივნისი, 2018, ხელმისაწვდომია აქ.
[36] ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიში, საქართველო, 2017, ხელმისაწვდომია აქ.
[37] ღია ბიუჯეტის კვლევა, 2017, ხელმისაწვდომია აქ.

ამოცანა 5.1:

ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერება უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის პროგრამისა და სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების თავსებადობას საშუალოვადიან პარამეტრებთან. ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების შედეგად მნიშვნელოვანია, გამოვლინდეს სუსტი მხარეები და აღმოიფხვრას ისინი. დასახული მიზანია გაუმჯობესდეს საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს დაგეგმვის პროცესი მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის გამოყენებით.

2019 წლის პროგრესი

ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად 2019 წელს შეირჩა საპილოტე სფეროები, რომლებზეც 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) საბოლოო ვერსიაში (დოკუმენტი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინება საქართველოს პარლამენტს), აისახება ინფორმაცია მიმდინარე (საბაზისო) და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ. 2020 წლის 1 მარტიდან, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიღების შემდეგ, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები საპილოტე სამინისტროების პოლიტიკის განმახორციელებელი და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტების წარმომადგენლებთან არსებული და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ ინფორმაციის მომზადების მიზნით.

BDD-ში მიმდინარე (საბაზისო) და ახალი პოლიტიკის ბიუჯეტზე გავლენის შესახებ ინფორმაცია 4 საპილოტე სამინისტროსთან მიმართებით აისახება.[38]

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორების ანალიზისა და პროგნოზის საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური (DSGE) მოდელის გამოყენებისთვის:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით სასწავლო მიზნებისთვის შეიქმნა ორი მცირემასშტაბიანი საცდელი მოდელი, რის საფუძველზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ აუცილებელი ტრენინგები;
- DSGE მოდელში აისახა საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი, რაც აუცილებელია პოლიტიკის გავლენის ადეკვატური შეფასებისათვის;
- შემუშავდა აქტივობათა გეგმა 2020 წლისათვის, რაც მიზნად ისახავს მოდელის დახვეწასა და პროგნოზირების სრულყოფას.

2020 წელს იგეგმება DSGE მოდელის აღწერის გამოქვეყნება, ხოლო ამავე წლის ბოლოს - მოდელის სრულად ამოქმედება, რის შემდეგაც DSGE იქნება ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკურ-ფისკალური ანალიზის და პროგნოზირების მთავარი მოდელი.

ამოცანა 5.2:

მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ფისკალური რისკების მართვის ეფექტიანობის გაძლიერებაც. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განვითარება და სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რათა გაიზარდოს იმ სახელმწიფო საწარმოთა წილი, რომელსაც ფარავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი.

2019 წლის პროგრესი

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა სახელმწიფო საწარმოთა კორპორატიზაციის სტრატეგიის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა კორპორატიული მართვის ძირითად პრინციპებს. ამ

[38] საპილოტე სამინისტროებია: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროცესში ფინანსთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით განისაზღვრა იმ სახელმწიფო საწარმოთა კრიტერიუმები, რომლებიც იდენტიფიცირდებიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად (სდპ).[39]

სახელმწიფო საწარმოთა სდპ-ებად განსაზღვრა მიზნად ისახავს:

- საწარმოთა ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას;
- მათ მიმართ ნდობის ამაღლებას;
- პარტნიორების და მესამე პირების ინტერესების დაცვას.

სტრატეგია და საწარმოთა კლასიფიკაცია სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მნიშვნელოვანია, ასევე პირობითი ვალდებულებებისა და მათი ოპერაციებიდან გამომდინარე სხვა შესაძლო ფისკალური რისკების მონიტორინგისა და პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება, რათა მიღწეულ იქნეს სამოქმედო გეგმის მთავარი შედეგი და გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოთა წილი, რომელსაც ფარავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი.

ამოცანა 5.3:

ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ამოცანაა საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც ღია და გამჭირვალე მმართველობის წინაპირობაა.

სახელმწიფოს პრიორიტეტია მოქალაქეების ინფორ-მირება სახელმწიფო ბიუჯეტის პრო-ცესის მიმდინარეობის შესახებ, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების ბრუნვასთან მიმართებით.

2019 წლის პროგრესი

საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით საანგარიშო პერიოდში მომზადდა მოქალაქის გზამკვლევი 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით. აღნიშული დოკუმენტი განახლდა სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ. ასევე, BDD-ის დამუშავებული ვარიანტის

- რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი;
- რა კომპონენტებისგან შედგება საბიუჯეტო სისტემა;
- რა რეფორმები განხორციელდა და რა შედეგები იქნა მიღწეული საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით;

აგრეთვე, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, USAID-ის მხარდაჭერით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის ელექტრონული პორტალი (eBTPS – Budget Transparency and Participation System).[41] სისტემა (e-BTPS) მოქალაქეებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც მხარჯავი ორგანიზაციების, ასევე ქვეყნის ძირითადი წარდგენის შემდგომ დაგეგმილია მოქალაქეებისთვის ბროშურის/მოკლე ინფორმაციის მომზადდება.[40] აღნიშნული ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია რედაქტირებად ფორმატში ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებული პირი მიიღებს შემდეგ ინფორმაციას:

- რა ეტაპებისგან შედგება საბიუჯეტო პროცესი;
- რა სამართლებრივი საფუძვლებით წარიმართება საბიუჯეტო პროცესი;
- რა პრიორიტეტული მიმართულებები აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს.

პრიორიტეტების მიხედვით. სისტემის მეშვეობით მოქალაქეები მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ დაგეგმილი პრიორიტეტების/ორგანიზაციების ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე. პორტალის საჯარო პრეზენტაცია 2019 წლის 24 დეკემბერს გაიმართა, ხოლო 2020 წლიდან ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

[39] ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N584, 29 ნოემბერი, 2019.

[40] „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე“ და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე“ მომზადებული მოქალაქის გზამკვლევი და მოკლე ბროშურა ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

[41] ბიუჯეტის გამჭირვალობისა და ჩართულობის ელექტრონული სისტემა.

VI ადგილობრივი თვითმმართველობა

2 ამოცანა » **2** ამოცანის შედეგის ინდიკატორი » **3** აქტივობა » **8** აქტივობის შედეგის ინდიკატორი

2019 წელი » 1 ამოცანის შედეგის ინდიკატორი » 2 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება საჯარო მმართველობის რეფორმის მეექვსე მიმართულებად განისაზღვრა და სრულფასოვანი, დეცენტრალიზებული ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩამოყალიბდა.

მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების გაფართოება და ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. გეგმა 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით შესასრულებელ მხოლოდ ერთ ამოცანას ითვალისწინებს. თუმცა, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხითაც, რაც 2020 წლის IV კვარტალში უნდა დასრულდეს.

მნიშვნელოვანი მიღწევები

- მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2025
- შემუშავდა მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი

ამოცანა 6.1:

თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.1.1:

ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად იდენტიფიცირებული უფლებამოსილებების რაოდენობა

საბაზისო, 2018	შუალედური შეფასება, 2019	სამიზნე, 2020
0	N/A	2

ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გასაზომად აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებით გადასაცემი უფლებამოსილებების ანალიზის განხორციელება, რომლის დასრულებაც გეგმის თანახმად, 2020 წლის მეოთხე კვარტალშია გათვალისწინებული. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის გაზომვა შეუძლებელია.

2018 წელს კონსტიტუციის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რაც კონკრეტული უფლებამოსილებების იმ სახელისუფლებლო დონეზე არსებობას გულისხმობს, სადაც ის უფრო ეფექტიანად განხორციელდება. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება გაანალიზდეს ყველა ის უფლებამოსილება, თუ სერვისი, რომელიც დღეს ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ხორციელდება, თუმცა შესაძლებელია, სამომავლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციად იქნეს განხილული.

2019 წლის პროგრესი

თვითმმართველობის გაძლიერებისა და მათი უფლებამოსილებების გაფართოების მიზნით შემუშავდა და გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დამტკიცდა „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია“.[42] სტრატეგიის შემუშავება რამდენიმე ეტაპად, სამ სამუშაო ჯგუფთან ჩატარებული განხილვების პარალელურად მიმდინარეობდა, სადაც სახელმწიფო უწყებების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტებიც იყვნენ წარმოდგენილნი.

საანგარიშო პერიოდში, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შემუშავებული სტრატეგიის სამუშაო ვერსია განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები). გარდა ამისა, დაიწყო მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემი უფლებამოსილებების იდენტიფიცირებაზე.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი მიღწევა და პრინციპული ნაბიჯია თვითმმართველობაზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციის მიმართულებით და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასა და მათ გაძლიერებას ისახავს მიზნად.

სტრატეგია 2020–2025 წლების პერიოდში განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება;
- სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია ქმნის სამართლებრივ საფუძველს უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის გადანაწილებისთვის. სტრატეგიის დოკუმენტი გამოხატავს ქვეყნის მზაობას ჩამოყალიბდეს სუბსიდიარობის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების მიმართულებით საჯარო მმართველობის რეფორმით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ამოცანა 6.2:

ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების აუცილებელი კომპონენტია მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება. „დეცენტრალიზაციის სტრატეგია“ კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემისა და ეფექტიანობის მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სისტემის დანერგვას ითვალისწინებს. თავის მხრივ, აღნიშნული განაპირობებს მუნიციპალიტეტებში სერვისების ელექტრონულად მიწოდების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

2019 წლის პროგრესი

მართალია, სამოქმედო გეგმა საანგარიშო პერიოდში არ ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების კუთხით განსახორციელებელ აქტივობებს, თუმცა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რათა განსაზღვრულიყო მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი.

ამ მიზნით, გაიმართა არაერთი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან და მათთან კონსულტაციების შედეგად, შემუშავდა ელექტრონული სერვისების აუცილებელი მოდულების ჩამონათვალი. აღნიშნული სერვისები ელექტრონულ ფორმატში მოქალაქეებს ადგილობრივ დონეზე 2021 წლიდან მიეწოდებათ.

[42] დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგია და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 31.12.2019 წლის N678 დადგენილებით.

შემდგომი ნაბიჯები

ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეთავში იგეგმება შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებითგადასაცემიუფლებამოსილებების ანალიზი;
- მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების ანალიზი და ელექტრონული სერვისების განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მომზადება.

რეკომენდაციები

2020 წლის ბოლოს ამოცანის შედეგის ინდიკატორების სრულად შესრულებისთვის, აუცილებელია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესრულდეს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დამატებით გადასაცემი უფლებამოსილებების ანალიზი და მუნიციპალიტეტებში დასანერგი ელექტრონული სერვისების ანალიზი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ აქტიურად ითანამშრომლოს სამდივნოსთან სერვისის მომწოდებლის შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების პროცესში, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის ვადების დაცვა და შემცირდეს სერვისის მიწოდების დაყოვნებასთან ან/და სხვა საკითხებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური ხარჯი, 2019

ადგილობრივი თვითმმარველობის ქვეთავში 2019 წლის პირველი ოთხი კვარტლით გათვალისწინებული ამოცანისა და მისი აქტივობების შესასრულებლად სამოქმედო გეგმის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1 500 ლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული.



რისკები, გამოწვევები და რეკომენდაციები

რისკები

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში რეფორმის სამდივნომ რისკები დროის ორ განზომილებაში შეაფასა:

I რისკები, რომლებიც სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში იდენტიფიცირდა, როგორც ამოცანის განხორციელების პროცესში მაღალი ალბათობით დამაბრკოლებელი გარემოება და შესაბამისად, მითითებულ იქნა მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში;

II რისკები, რომლებიც გეგმის დამტკიცების შემდგომ, აქტივობათა განხორციელების პროცესში წარმოიშვა და გავლენას ახდენს ამა თუ იმ ამოცანით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე.

ორივე შემთხვევაში, ანგარიშის მთავარი მიზანია განიმარტოს: (1) რა ნაბიჯები გადაიდგა რისკების შესამცირებლად, (2) რამდენად შედეგიანი იყო ეს ნაბიჯები და (3) რეკომენდაციის სახით, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რისკები

	ამოცანა/რისკი	რისკის შესამცირებლად გადადგმული ნაბიჯები
1.1	მონაცემების შეგროვების სისტემის არ არსებობა; ადამიანური რესურსის ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება	გეგმის განხორციელების პროცესში რისკი არ გამოვლინდა
1.2	ადამიანური რესურსების ნაკლებობა; გადამზადებული კადრების გადინება	გეგმის განხორციელების პროცესში რისკი არ გამოვლინდა
3.1	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი	შეფასდება 2020 წელს, ვინაიდან რეკომენდაციები ჯერ არ მომზადებულა
3.2	სახელმწიფო უწყებების პასიურობა	გეგმის განხორციელების პროცესში რისკი არ გამოვლინდა
3.3	სახელმწიფო უწყებების პასიურობა	შეფასდება 2020 წელს, ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა 2019 წელს ტესტირების რეჟიმშია
4.1	სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში საჭირო უნარების მქონე ექსპერტების დაქირავების პროცესის გაჭიანურება; ექსპერტების დაქირავებისათვის საჭირო თანხების მოძიების შეფერხება; ახალი სერვისების შექმნის საჭიროების არ არსებობა; ჩართული/პარტნიორი უწყებების დაბალი აქტივობა	4.1-4.4 ამოცანებისთვის ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი რისკი გამოვლინდა. კერძოდ, გაჭიანურდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების მოძიების პროცესი. რისკის თავიდან ასაცილებლად, უწყებებმა ინტენსიურად ითანამშრომლეს საერთაშორისო პარტნიორებთან
4.2	ექსპერტის მოძიების პროცესის გართულება; ახალი სერვისების შექმნის აუცილებლობის არ არსებობა	
4.3	სერვისის ინდექსის პორტალის შექმნისათვის კომპანიის დაკონტრაქტების გაჭიანურება, ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის დროში გახანგრძლივება, მომხმარებლის კვლევისათვის საჭირო თანხების მოძიების სირთულე	
4.4	ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის საჭირო უნარების მქონე ექსპერტის მოძიების სირთულე; ახალი სერვისის შექმნის საჭიროების არ არსებობა	
4.5	სახელმწიფო უწყებების პასიურობა	საანგარიშო პერიოდში რისკი გამოვლინდა, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა 2020 წლის სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოებას
4.7	სახელმწიფო უწყებების პასიურობა	საანგარიშო პერიოდში რისკი არ გამოვლინდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ შეფასდება 2020 წელს
6.1	არასაკმარისი ადამიანური რესურსი და კომპეტენციის ნაკლებობა	გეგმის განხორციელების პროცესში რისკი არ გამოვლინდა

პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მიმართულებით ამოცანათა (1.1; 1.2[43]) განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებად ნავარაუდები იყო:

- მონაცემების შეგროვების სისტემის არ არსებობა;
- ადამიანური რესურსის ნაკლებობა;
- გადამზადებული კადრების გადინება.

მონაცემთა შეგროვების მიმართულებით შესაძლო რისკების შესამცირებლად, მთავრობის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა მთავრობაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების მონაცემთა ბაზა, დაიწყო აღნიშნულის სისტემური განახლება და სამინისტროებში პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით მომუშავე კადრების მუდმივი ინფორმირება. აგრეთვე, სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობით საანგარიშო პერიოდში პირველად დაიწყო მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტების ყოველწლიური გეგმის შემუშავება, რომელიც მონაცემთა შეგროვების გამართული და ყველასთვის ხელმისაწვდომი მექანიზმია. ცვლილების შესახებ დეტალური განმარტებები მიეწოდათ შესაბამის უწყებებს. შედეგად, მონაცემთა შეგროვების მიმართულებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, სისტემური მიდგომით შესაძლებელი გახდა რისკის აღმოფხვრა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ზემოაღნიშნული ამოცანების ფარგლებში ნავარაუდები რისკი ადამიანური რესურსის ნაკლებობის შესახებ პრაქტიკაში არ გამოვლინდა. რაც შეეხება გადამზადებული კადრების გადინების საფრთხეს, არ არის შესაძლებელი შეფასდეს რამდენად გამოვლინდა რისკი, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში გადამზადებული კადრების საჯარო სექტორიდან გადინების შესახებ ინფორმაცია არ შეგროვებულა. ძალისხმევა სრულად იყო მიმართული ახალი ტრენინგ-მოდულების ფარგლებში კადრების გადამზადებაზე. რეფორმის სამდივნოს რეკომენდაციაა კვარტალურად ან/და ექვს თვეში ერთხელ პასუხისმგებელი უწყების მიერ დამუშავდეს მონაცემები გადამზადებული კადრების გადინების მაჩვენებლის დასადგენად, რათა სწორად შეფასდეს კადრების გადამზადების კომპონენტის გავლენა ამოცანის საერთო შედეგზე.

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით სამოქმედო გეგმის შემუშავების ფაზაში რისკები არ იქნა გამოვლენილი.

ანგარიშვალდებულების მიმართულებით ამოცანა 3.1-ის[44] განხორციელების შედეგად, სახეზე უნდა იყოს სსიპ-ების წინასწარ განსაზღვრული წილი, რომლებმაც გაითვალისწინეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით.

ამ პროცესში სამოქმედო გეგმით რისკად განისაზღვრა ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი. ვინაიდან საანგარიშო პერიოდისთვის ბიუროს რეკომენდაციები სსიპ-ებისთვის წარდგენილი არ არის, რისკის მატერიალიზაცია არ არის შესაძლებელი. აღნიშნული შეფასდება გეგმის ვადის დასასრულს. თუმცა, რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია დაიგეგმოს სსიპ-ებთან ინტენსიური კომუნიკაცია, რათა მათ ნათლად დაინახონ რეკომენდაციების მნიშვნელობა და შედეგად, უზრუნველყონ აღნიშნულის პრაქტიკაში დანერგვა.

კიდევ ერთი რისკი, რომელიც ანგარიშვალდებულების ქვე-თავის 3.2 ამოცანის[45] შედეგთან მიმართებით იქნა ნავარაუდები არის სახელმწიფო უწყებების პასიურობა. საანგარიშო პერიოდში ღია მონაცემების პორტალზე 4 სახელმწიფო უწყების 8 ღია მონაცემი განახლდა, რაც ნიშნავს, რომ რისკი მატერიალიზდა პრაქტიკაში. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, კონკრეტული სამი სახელმწიფო უწყების მიერ პორტალზე ახალი მონაცემების დამატება 2020 წლის IV კვარტალშია განსაზღვრული (აქტივობა 3.2.2), თუმცა, სამდივნოს შეფასებით, ვინაიდან პორტალზე მონაცემთა განთავსების ნელი ტემპი შეინიშნება, რისკი რეალურია და საჭიროა სახელმწიფო უწყებებთან დამატებითი კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები რათა ამაღლდეს ცნობიერება ღია მონაცემების მნიშვნელობასა და ამ პროცესში უწყებათა ერთობლივი ძალისხმევის გადამწყვეტ როლზე.

ანგარიშვალდებულების ქვე-თავის 3.3 ამოცანის[46] რისკად განისაზღვრა სახელმწიფო უწყებების პასიურობა. ვინაიდან საანგარიშო პერიოდისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა მხოლოდ სატესტო რეჟიმში მოქმედებს და მასში უწყებათა სრული ჩართულობისთვის სისტემის სრულფასოვნად, რეალურ რეჟიმში ამოქმედებაა საჭირო, საანგარიშო პერიოდისთვის არ არის შესაძლებელი რისკის მატერიალიზაციის შეფასება. აღნიშნული შეფასდება სამოქმედო გეგმის ვადის დასასრულს. საკითხზე დაკვირვების შედეგად, სამდივნოს მნიშვნელოვნად მიაჩნია აუდიტის სამსახურმა ინტენსიური კონსულტაციები გამართოს სახელმწიფო უწყებებთან სისტემისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ, რათა შემცირდეს ნავარაუდები რისკი და უზრუნველყოფილ იქნეს პროცესში სახელმწიფო დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობა.

[43] ამოცანა 1.1: პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით; ამოცანა 1.2: პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

[44] ამოცანა 3.1: ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში.

[45] ამოცანა 3.2: ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

[46] ამოცანა 3.3: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით.

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით ამოცანათა (4.1, 4.2, 4.3, 4.4[47]) განხორციელების დამაბრკოლებელ პოტენციურ რისკ-ფაქტორებად განსაზღვრული იყო:

- საჭირო უნარების მქონე ექსპერტების დაქირავების პროცესის გაჭიანურება; ექსპერტების დაქირავებისათვის საჭირო თანხების მოძიების შეფერხება; ახალი სერვისების შექმნის საჭიროების არ არსებობა; ჩართული/პარტნიორი უწყებების დაბალი აქტივობა (4.1);
- ექსპერტის მოძიების პროცესის გართულება; ახალი სერვისების შექმნის აუცილებლობის არ არსებობა (4.2);
- სერვისის ინდექსის პორტალის შექმნისათვის კომპანიის დაკონტრაქტების გაჭიანურება, ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის დროში გახანგრძლივება, მომხმარებლის კვლევისათვის საჭირო თანხების მოძიების სირთულე (4.3);
- ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავებისათვის საჭირო უნარების მქონე ექსპერტის მოძიების სირთულე; ახალი სერვისის შექმნის საჭიროების არ არსებობა (4.4).

საანგარიშო პერიოდში, ზემოაღნიშნულიდან პრაქტიკაში გამოვლინდა რისკი საჭირო უნარების მქონე ექსპერტების დაქირავების პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტების დაქირავებისთვის საჭირო თანხების მოძიების რისკის თავიდან ასარიდებლად, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ აქტიურად ითანამშრომლა პარტნიორ დონორთან. ხაზგასასმელია, რომ ჩამოთვლილი ამოცანების ფარგლებში ნავარაუდები სხვა რისკები საანგარიშო პერიოდში ვერ გამოვლინდებოდა, ვინაიდან ამისთვის საჭიროა კონკრეტული აქტივობების დასრულება, რომელთა დიდი ნაწილი 2020 წელს განხორციელდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კიდევ ერთხელ შეფასდეს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შემდგომ ეტაპებზე.

სამოქმედო გეგმის თანახმად, სერვისების მიწოდების 4.5[48] და 4.7[49] ამოცანათა განხორციელების სავარაუდო რისკად სახელმწიფო უწყებათა პასიურობა განისაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო სერვისების რაოდენობა ელექტრონულ პორტალზე my.gov.ge, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პოზიციით, სახელმწიფო უწყებები არ იჩენენ სათანადო მზაობას, რომ მათი სერვისები განთავსდეს პორტალზე და ამის მიზეზად my.gov.ge-ს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არ არსებობას ასახელებენ. შესაბამისად, სამდივნოს შეფასებით, რისკი სამომავლოდაც რეალურია და საჭიროა, აღნიშნულის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტი სერვისი მიიღონ my.gov.ge-ის პლატფორმის გამოყენებით. ამოცანა 4.7-თან მიმართებით საანგარიშო პერიოდში მოცემული რისკი არ გამოვლენილა, თუმცა საჭიროა აღნიშნული კიდევ ერთხელ შეფასდეს სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის დასასრულს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეთავის 6.1 ამოცანის[50] შესრულების რისკად განსაზღვრულია არასაკმარისი ადამიანური რესურსი და კომპეტენციის ნაკლებობა. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა დეცენტრალიზაციის სტრატეგია. რისკის შემცირების მიზნით, პროცესი მრავალმხრივი კონსულტაციების ფარგლებში წარიმართა. ჩამოყალიბდა სამი სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი აქტივობები, რისკის შემცირების მიზნით გადადგმული ღონისძიებების პირობებში, შეუფერხებლად დასრულდა.

გამოწვევები სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

დაგეგმვის ეტაპზე აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება და შესაბამისად, განხორციელების ვადების არასწორად განსაზღვრა და ვადებში ჩამორჩენა

აღნიშნულ გამოწვევაზე რეფორმის სამდივნომ ყურადღება გაამახვილა სამოქმედო გეგმის პროგრესანგარიშის (2019 წლის I-III კვარტალი) ფარგლებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამუშაოს მოცულობის არასათანადო შეფასებას და შესაბამისად, ვადების არასწორად განსაზღვრას თანმდევი ეფექტი ექნებოდა როგორც წლიურ, ასევე, გამოწვევის ვერ გადაჭრის შემთხვევაში, სამოქმედო გეგმის საბოლოო შედეგებზეც. რიგი აქტივობის შედეგის ინდიკატორთა შესრულებისთვის დადგენილი ვადების გადაცილება სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგის ფარგლებშიც გამოიკვეთა. აღნიშნული პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ამოცანით განსაზღვრული შედეგების მიღებაზე, ვინაიდან, სამოქმედო გეგმის აქტივობების გამართულად და დროულად დასრულება სწორედ საბოლოო შედეგის მიღწევას ემსახურება.

[47] ამოცანა 4.1: მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება; ამოცანა 4.2: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; ამოცანა 4.3: სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; ამოცანა 4.4: სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით.

[48] ამოცანა 4.5: სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით.ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით.

[49] ამოცანა 4.7: კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

[50] ამოცანა 6.1: თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება.

აღნიშნული გამოწვევის მაგალითებია:

- პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის მარეგულირებელი პაკეტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება და დაბეჭდვა. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში პაკეტი შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის მიერ, მისი შინაარსიდან და მიზნობრიობიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო მომზადებულ მოცულობით მასალაზე სრულფასოვანი კონსულტაციის გამართვა პროცესში ჩართულ საჯარო დაწესებულებებთან და სხვა პარტნიორებთან. აღნიშნულის განხორციელებას გეგმით განსაზღვრულზე მეტი დრო დაეთმო.

- მსგავსად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა (PDCems) მომზადდეს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სისტემა პირველად მზადდება საქართველოში და სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი აჩვენებს, რომ მას დაგეგმილზე მეტი დრო სჭირდება.

- აგრეთვე, დოკუმენტის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დაგეგმილზე მეტი დრო დაეთმო სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებასა და განხილვას. შესაბამისად, გაჭიანურდა სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით გაწერილი აქტივობების ჩატარება, რაც საერთო ჯამში, აფერხებს ამოცანებით ჩამოყალიბებული შედეგების მიღწევას. ამ კონკრეტული მიმართულებით გამოწვევა აღმოჩნდა ასევე სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტთა მოძიება, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზევე იდენტიფიცირდა როგორც შესაძლო რისკი და პასუხისმგებელი უწყებისა და პარტნიორი ორგანიზაციების სრული ძალისხმევა დაეთმო რისკის შემცირებას.

- იდენტური მიზეზით, დაგეგმილზე მეტი დრო დაეთმო სსიპ-ების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტის მომზადებას. საკითხი მაღალი მნიშვნელობისაა და აუცილებელია პროექტი განხილულ იქნეს დაინტერესებულ მხარეებთან როგორც შიდა შეხვედრების, ასევე ფართო კონსულტაციების ფორმატში.

ვადების დარღვევის მიზეზით, საფრთხე ექმნება შემდეგი ამოცანების შედეგების დროულად მიღწევას:

ამოცანა 1.3: ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება (ვრცლად იხილეთ გვ. 20);

ამოცანა 3.1: ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში;

ამოცანა 3.4: საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ;

ამოცანა 4.1 – 4.4: სახელმწიფო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი პოლიტიკის მთავრობის მიერ დროულად დამტკიცებაზეა დამოკიდებული სამოქმედო გეგმის სერვისების მიწოდების ქვეთავით გაწერილი 4 მნიშვნელოვანი ამოცანის შედეგის მიღწევა.[51]

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის ვადებში ჩამორჩენა გამოწვევად დარჩება 2020 წელს, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო. საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპასუხოდ 2020 წლის 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რის შედეგადაც სახელმწიფო უწყებების ძირითადი ნაწილი კრიზისის მენეჯმენტში ჩაერთო და დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. შესაბამისად, არსებობს აქტივობების დაგეგმილ ვადებში ვერ შესრულების რისკი, რამაც საბოლოოდ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევაზე.

აქტივობათა დუბლირება

პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა (აქტივობა 1.2.3), თავისთავად მოიცავს ანტი-კორუფციული საბჭოს

[51] ამოცანა 4.1: მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება; ამოცანა 4.2: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; ამოცანა 4.3: სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით; ამოცანა 4.4: სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით.

პოლიტიკის დოკუმენტების ანალოგიური ციკლის ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანის აქტივობას (აქტივობა 1.3.1-1.3.2). ამასთან, პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით, სავალდებულო ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მთავრობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელება. გარდა იმისა, რომ ანტი-კორუფციული საბჭოს ელექტრონული პლატფორმა შინაარსობრივად (მიზანი და ამოცანა) იმეორებს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიან ელექტრონულ სისტემას, განხორციელების პროცესში ცხადი გახდა, რომ საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსი, რასაც დონორული დახმარების დუბლირებასთან მივყავართ.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი რეფორმის საბჭოს სამდივნოს მიერ გამოწვევად იდენტიფიცირდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის I ანგარიშის ფარგლებშიც.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო იზიარებს აღნიშნულს და მიიჩნევს, რომ ვინაიდან აქტიურ ფაზაშია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის (PDCems) შემუშავების პროცესი, რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, პირველ ეტაპზე ამოქმედდეს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა, აღნიშნული სისტემის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე კი მოდიფიცირდეს ან უცვლელად გაგრძელდეს ანტიკორუფციული დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების სისტემის მომზადება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო ეტაპობრივად და საჭიროების მიხედვით გეგმავს ვალდებულების განხორციელების შემდგომ ნაბიჯებს.

ადამიანური რესურსის ნაკლებობა

ადამიანური რესურსის ნაკლებობა გამოწვევაა რამდენიმე შემთხვევაში. მაგალითად, ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები გეგმით დადგენილ ვადებში სრულად ვერ შესრულდა, რადგან სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ადამიანური რესურსი არ აღმოაჩნდა პორტალის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად. თუმცა, სამდივნოს შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ გამოწვევის გამოვლენისთანავე, უწყებამ მოლაპარაკებები დაიწყო (რომელიც ანგარიშის შემუშავების ეტაპისთვისაც მიმდინარეობს) საერთაშორისო პარტნიორებთან რესურსების მოძიების მიზნით. მიმდინარე არაერთი მსხვილი პრიორიტეტის განხორციელების პროცესში სააგენტოს აგრეთვე არ ეყო ადამიანური რესურსი რათა მოქალაქის პორტალზე - MY.GOV.GE სათანადოდ დაეტესტა უკუკავშირის მექანიზმი. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ უკუკავშირის წახალისების მიზნით, სააგენტომ მნიშვნელოვანი რესურსი ჩადო პორტალის განვითარებაში, რამაც შედეგ-ად პორტალის მომხმარებელთა და გამოყენებუ-ლი სერვისების რაოდენობის ზრდა გამოიწვია (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 38).

კონსულტაციების ეტაპებად დაყოფა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მსხვილი გამოწვევაა სამუშაოს მოცულობის არასათანადოდ შეფასება. სამდივნოს დაკვირვებით, აღნიშნული კიდევ უფრო დიდ გამოწვევად გადაიქცევა, როდესაც შემუშავებული პროდუქტის განხილვა საჭიროა საჯარო კონსულტაციის ფორმატში, რაც ასევე მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს და დროს საჭიროებს. სამდივნოს შეფასებით, პასუხისმგებელი უწყებები მსგავს ფორმატში განსახილველი პროდუქტების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან და როგორც წესი, საწყის ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან შიდა კონსულტაციებს გადიან. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გამოწვევად გვევლინება კონსულტაციების ეტაპებად დაყოფის საჭიროება, რაც სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე არ იყო სათანადოდ გაანალიზებული.

აღნიშნული გამოწვევის ერთ-ერთი საილუსტრაციო მაგალითია აქტივობა სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 30). სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ სწორი პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ გეგმით გაწერილი იყო კანონპროექტის შესახებ მხოლოდ საჯარო კონსულტაციების გამართვა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე კანონპროექტის განსახილველად შიდა შეხვედრები ჩაატარა. თუმცა, შედეგად, შეიცვალა გეგმით განსაზღვრული ვადები, რაც შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს საბოლოო შედეგის მიღწევის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი უწყვეტად გრძელდება.

სამდივნოს დაკვირვებით, მნიშვნელოვანია PAR-ის მომდევნო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ყურადღებით გაანალიზდეს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს როგორც შიდა, ასევე ფართო კონსულტაციებს. შედეგად, შესაძლებელი გახდება საჭირო ეტაპების ცალ-ცალკე, შესაბამისი ვადებით ჩამოყალიბება და სამოქმედო გეგმაში გაწერა.

კვალიფიციური ექსპერტის მოძიების პრობლემა

აღნიშნულმა გამოწვევამ სახელმწიფო სერვისების მიწოდების მიმართულებით მნიშვნელოვნად შეაფერხა რიგი მსხვილი აქტივობის დროულად შესრულება, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზევე მიჩნეული იყო შესაძლო რისკ-ფაქტორად და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საერთაშორისო პარტნიორებთან

მჭიდრო თანამშრომლობით ინტენსიური სამუშაო აწარმოა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა მოძიების მიზნით. გამოწვევა აღმოიფხვრა საანგარიშო პერიოდში, თუმცა მსხვილი აქტივობების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ვადების დარღვევა გამოიწვია (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გვ. 37).

სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს გამოვლენილი რისკები

ზემოაღნიშნული გამოწვევების ანალიზის შედეგად, ნათელია, რომ გაჩნდა ახალი რისკები, რომელთა პრაქტიკაში გამოვლენა ამოცანათა შესრულების გზაზე დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება გახდეს. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგამოვლენილი რისკების რაოდენობა მცირეა, რაც სამოქმედო გეგმის პროცესში რისკების სწორად გათვლაზე, გეგმის განხორციელების პროცესში კი - მათთან ეფექტურ გამკლავებაზე მიუთითებს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი რისკები (1) დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების საჭიროებასა და (2) ექსპერტთა მოძიების სირთულეს უკავშირდება.

- პირველ შემთხვევაში საკითხი ეხება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ვალდებულებას საჯარო მოხელეებისთვის უზრუნველყოს სავალდებულო პროფესიული განვითარება. აღნიშნულისთვის საანგარიშო პერიოდში საჭირო თანხები მოძიებული არ არის. შესაბამისად, საჭიროა აქტიური მუშაობა ფინანსური რესურსის მოსაძიებლად და შესაბამისად, რისკის შესამცირებლად.
- მეორე შემთხვევაში, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო უწყვეტად მუშაობს რათა მოიძიოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტი, რომელიც შეიმუშავებს სკოლებისთვის კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინას. მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ ექსპერტთა მოძიების მიმართულებით ინტენსიურად ითანამშრომლა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის, ევროპის მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლებთან (დიდი ბრიტანეთის საელჩო, ესტონეთის კიბერუსაფრთხოების ექსპერტები), ექსპერტთა მოძიების პროცესი საანგარიშო პერიოდში ვერ დასრულდა. შესაბამისად, ახლადგამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით, სახეზეა ამოცანით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფერხების რისკი.

რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმის წლიური შეფასების ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდებულია:

- სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ შემდგომ კვარტლებში განსახორციელებელი აქტივობების დეტალური ანალიზი, რათა სწორად განისაზღვროს მათი განხორციელებისთვის საჭირო დრო და ადამიანური რესურსი. აღნიშნულის შესახებ საბჭოს ეცნობოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის ფარგლებში.
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისას, წამყვანმა პასუხისმგებელმა უწყებებმა სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყონ დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობა და ინფორმირება, რათა ერთი მხრივ, პროცესი იყოს ინკლუზიური, ხოლო მეორე მხრივ - ერთობლივი ძალისხმევით მიღწეულ შედეგზე პასუხისმგებლობა გადანაწილდეს. საბჭოს ეცნობოს კონკრეტული აქტივობების შესახებ, რომელთა განხორციელებას წამყვანი პასუხისმგებელი უწყებების გარდა სხვა სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობა ესაჭიროება.
- საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შეფასების საფუძველზე და ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი სიტუაციის გამო, დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები. აღნიშნულის შესახებ საბჭოს ეცნობოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის ფარგლებში.
- საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპის დაგეგმვის პროცესში, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა გამორიცხონ აქტივობათა დუბლირების მაგალითები, რათა თავიდან აიცილონ დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არასწორი ხარჯვა.

PAR 2019–2020 წწ. სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის (I–III კვარტალი) რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფორმის სამდივნომ მოამზადა და საბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიში, რომელიც აღწერს 2019 წლის I-III კვარტლით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროგრეს, მსჯელობს გამოწვევებზე და აყალიბებს რეკომენდაციებს.

წინამდებარე ცხრილის სახით მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშის ფარგლებში სამდივნოს მიერ გაცემული რეკომენდაციები წინამდებარე ანგარიშის მომზადებამდე არსებულ შუალედურ პერიოდში.

რეკომენდაცია, პროგრეს ანგარიში 2019	რეკომენდაციის გათვალისწინების პროგრესი
სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხის-მგებელმა უწყებებმა უზრუნველყონ შემდგომ კვარტლებში განსახორციელებელი აქტივობების დეტალური ანალიზი, რათა სწორად განისაზღვროს მათი განხორციელებისთვის საჭირო დრო და ადამიანური რესურსი	სამდივნომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ უწყებებთან მჭიდრო თანამ-შრომლობით დაიწყო იმ აქტივობების ანალიზი, რომლებიც დაგვიანებით ან დადგენილ ვადაში ვერ განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში პროცესი არ დასრულებულა. 2019 წლის პროგრეს და წლიურ ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია საბჭოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის ფარგლებში წარედგინება.
საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შეფასების საფუძველზე, დეტალურად გადაიხედოს აქტივობათა განხორციელების გეგმით განსაზღვრული ვადები და ჩამორჩენის შემთხვევაში, გაიწეროს ახალი თარიღები	ზემოაღნიშნული ანალიზის დასრულებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივობათა განხორციელების ახალი ვადები და აღნიშნულის შესახებ საბჭოს 2020 წლის პირველი პროგრეს ანგარიშის წარდგენისას ეცნობება.
საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპის დაგეგმვის პროცესში, სამდივნოსთან მჭიდრო კოორდინაციით, პასუხისმგებელმა უწყებებმა გამორიცხონ აქტივობათა დუბლირების მაგალითები, რათა თავიდან აიცილონ დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსის არასწორი ხარჯვა	რეკომენდაცია მიემართება რეფორმის ახალ ფაზას, რომლის ფარგლებში სამდივნო, შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოფს აქტივობათა დუბლირების სრულად გამორიცხვას.

დაგროვილი გამოცდილება

საჯარო მმართველობის მიმდინარე სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური მონიტორინგის შედეგების ანალიზისას, გამოიკვეთა რამდენიმე ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც, სამდივნოს შეფასებით, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც თავად გეგმის ხარისხს, ასევე განხორციელებისა და კოორდინაციის პროცესებს.

ამოცანის ინდიკატორების შემუშავება

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი პირველი სექტორული გეგმაა საქართველოში, რომელიც მოსალოდნელ შედეგებს ამოცანის შედეგის ინდიკატორებით (რაოდენობრივი/ხარისხობრივი საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები) ზომავს. მიუხედავად ამისა, გეგმის წლიურმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით შუალედური სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა აუცილებელია. აღნიშნული რეფორმის სამდივნოს, ასევე პასუხისმგებელ უწყებებს დაეხმარება უფრო ნათლად წარმოაჩინონ საანგარიშო პერიოდში მიღწეული პროგრესი ან არსებული ხარვეზები.

შესაბამისად, ახალი 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, ამოცანებთან მიმართებით შემუშავდეს 2021 წლის შუალედური და 2022 წლის [საბოლოო] სამიზნე მაჩვენებლები (ამოცანებისა და აქტივობათა შინაარსისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით). აღნიშნული სამდივნოს საშუალებას მოგვცემს, თითოეული წლის ბოლოს გაიზომოს პროგრესი ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას და ამასთან, ანგარიშგების პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის.

გარდა ამისა, წინამდებარე ანგარიშის მომზადების პროცესში ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი მსხვილი აქტივობა პირდაპირ კავშირში არ არის ამოცანის შედეგის ინდიკატორთან. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა აქტივობა სრულად შესრულდეს, მაგრამ არ (ან ნაკლებად) განაპირობებდეს საბოლოო შედეგის მიღწევას. შესაბამისად, სამდივნო რეფორმის ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ამოცანებისა და აქტივობების შინაარსობრივ ურთიერთმიმართებაზე და იმის განსაზღვრაზე, თუ რამდენად პირდაპირ კავშირშია აქტივობის განხორციელება ამოცანით გათვალისწინებული შედეგის დადგომასთან.

აქტივობათა განხორციელების დაწყებისა და დასრულების ვადების განსაზღვრა

რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში მითითებულია მხოლოდ აქტივობათა განხორციელების დასრულების თარიღები. მონიტორინგის პროცესში, სამდივნოსთვის ნათელი გახდა აქტივობების დაწყების კონკრეტული თარიღების (მინიმუმ კვარტლის დონეზე) განსაზღვრის საჭიროებაც. ასეთ შემთხვევაში, მარტივად იქნება შესაძლებელი განხორციელების ვადებში ჩამორჩენის დროული გამოვლენა ისე, რომ არ იყოს საჭირო გეგმაში მითითებული განხორციელების ვადის სრულად ამოწურვა (მაგალითად, სამოქმედო გეგმის აქტივობათა დიდი ნაწილისთვის განხორციელების ვადად მითითებულია 2020 წლის IV კვარტალი. მონიტორინგის მიზნებისთვის კი აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია ნათელი იყოს პროცესის დაწყების თარიღებიც, რათა სამდივნოს ჰქონდეს შესაძლებლობა პროცესის დასაწყისიდანვე გააანალიზოს აქტივობათა განხორციელების შესახებ ინფორმაცია).აღნიშნული იძლევა ხარვეზის დროულად აღმოჩენისა და სწრაფი რეაგირების საშუალებას.

ამასთან, მნიშვნელოვანია, ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების შეძლებისდაგვარად თანაბარი წლიური გადანაწილება, რათა გეგმის რომელიმე მიმართულებით აქტივობათა დიდი ნაწილი გეგმის დასასრულს არ იყოს შესასრულებელი. ასეთ შემთხვევაში, სამდივნო კარგავს შესაძლებლობას დროულად გამოავლინოს ხარვეზები, აღნიშნულის შესახებ აცნობოს საბჭოს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

დანართი 1

ცხრილი 1:

ამოცანებისა და შედეგის ინდიკატორების გადანაწილება რეფორმის 6 მიმართულების მიხედვით

რეფორმის მიმართულებები:	ამოცანა:	ამოცანის შედეგის ინდიკატორი:	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	4	10	17
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	2	5	8
ანგარიშვალდებულება	5	5	9
საჯარო სერვისების მიწოდება	6	7	18
ადგილობრივი თვითმმართველობა	1	1	2
სულ:	21	28	54

ცხრილი 2:

ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების პროგრესი მიმართულებების მიხედვით

რეფორმის მიმართულებები:		N/A*	%	პროგრესის დადებითი დინამიკა**	%
პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია	10	9	90%	1	10%
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	5	0	0	5	100%
ანგარიშვალდებულება	5	5	100%	0	0
საჯარო სერვისების მიწოდება	7	6	85.7%	1	14.3%
ადგილობრივი თვითმმართველობა	1	1	100%	0	0
სულ:	28	21	75%	7	25%

* საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი
** საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესის დადებითი დინამიკა

ცხრილი 3:

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულების ზოგადი მაჩვენებელი

სულ 54 აქტივობის შედეგის ინდიკატორი

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	26	48.1%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	27	50%
ნაწილობრივ შესრულდა	15	27.8%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	21	38.9%
არ შესრულდა	13	24.1%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	6	11.1%

განმარტება: სრულად შესრულდა (100%) ნაწილობრივ შესრულდა (≥50%) არ შესრულდა (≤50%)

ცხრილი 4:

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულება მიმართულებების მიხედვით

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია: 17

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	11	64.7%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	11	64.7%
ნაწილობრივ შესრულდა	3	17.65%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	3	17.65%
არ შესრულდა	3	17.65%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	3	17.65%

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა: 8

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	6	75%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	6	75%
ნაწილობრივ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	2	25%
არ შესრულდა	2	25%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	0	-

ანგარიშვალდებულება: 9

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	2	22.2%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	2	22.2%
ნაწილობრივ შესრულდა	5	55.6%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	5	55.6%
არ შესრულდა	2	22.2%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	2	22.2%

სახელმწიფო სერვისების მიწოდება:18

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	5	27.8%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	6	33.3%
ნაწილობრივ შესრულდა	7	38.9%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	11	61.1%
არ შესრულდა	6	33.3%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	1	5.6%

ადგილობრივი თვითმმართველობა: 2

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	2	100%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	2	100%
ნაწილობრივ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	0	-
არ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	0	-

ცხრილი 5:

აქტივობის შედეგის ინდიკატორების პროგრესი პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია: 17

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	11	64.7%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	11	64.7%
ნაწილობრივ შესრულდა	5	29.4%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	5	29.4%
არ შესრულდა	1	5.9%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	1	5.9%

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: 9

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	5	55.6%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	5	55.6%
ნაწილობრივ შესრულდა	1	11.1%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	1	11.1%
არ შესრულდა	3	33.3%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	3	33.3%

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: 2

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	2	100%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	2	100%
ნაწილობრივ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	0	-
არ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	0	-

სსიპ – სახელმწიფო აუდიტის სამსახური: 1

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	1	100%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	1	100%
ნაწილობრივ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	0	-
არ შესრულდა	0	-	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	0	-

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო: 11

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	7	63.6%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	7	63.6%
ნაწილობრივ შესრულდა	1	9.1%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	3	27.3%
არ შესრულდა	3	27.3%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	1	9.1%

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო: 9

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	2	22.2%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	2	22.2%
ნაწილობრივ შესრულდა	3	33.3%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	6	66.7%
არ შესრულდა	4	44.5%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	1	11.1%

სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო: 10

რეიტინგი:			სტატუსი:		
სრულად შესრულდა	3	30%	განხორციელების პროცესი დასრულებულია	4	40%
ნაწილობრივ შესრულდა	5	50%	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	6	60%
არ შესრულდა	2	20%	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა	0	-

ცხრილი 6:

ამოცანის შედეგის ინდიკატორების პროგრესი მიმართულებებისა და ინდიკატორების მიხედვით

	ამოცანის შედეგის ინდიკატორი:	საბაზისო 2018:	სამიზნე 2020:	პროგრესი 2019:
	პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია			
1.1.1.	მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი პოლიტიკის დოკუმენტების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებული სახელმძღვანელოს სტანდარტებს	N/A	51%	N/A
1.1.2.	პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების ტრენინგ კურსის ფარგლებში გადამზადებული საჯარო მოხელეების წილი, რომლებმაც მიიღო წარჩინების სერთიფიკატი	N/A	51%	72.9%
1.2.1.	მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს	N/A	51%	N/A
1.2.2.	ანგარიშების წილი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების განახლებულ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს	N/A	51%	N/A
1.2.3.	მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიშების წილი, რომელიც გამოქვეყნებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებ-გვერდებზე	N/A	91%	N/A
1.3.1.	პოლიტიკის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ვადები	4 / 2	3 / 1	N/A
1.3.2.	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლების წილი, რომლებმაც „წარჩინებით გაიარა ტრენინგი“ (completed with distinction)	0%	70%	N/A
1.3.3.	საბჭოს წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი ჩართულობა	30	50	N/A
1.3.4.	იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა და მონიტორინგის ანგარიშების წილი, რომლებიც უწყებების მიერ ხარვეზების გარეშეა შევსებული	0%	70%	N/A
1.4.1.	რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment - RIA) საფუძველზე შემუშავებული მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტების წილი	0	5%	N/A
	საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა			
2.1.1.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომლებმაც საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინეს მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები	0	90%	100%
2.1.2.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში სრულად შემავალი სამინისტროების წილი, რომელთა თანამშრომლებს გავლილი აქვთ სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამა	0	60%	45%
2.2.1.	საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა გადინების პროცენტული რაოდენობა	9%	5%	6%
2.2.2.	საჯარო სამსახურის ბიუროს შტატით გათვალისწინებული შევსებული პოზიციების პროცენტული რაოდენობა	94%	100%	89%
2.2.3.	საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა წილი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის კანონთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში	50%	60%	90%

ანგარიშვალდებულება				
3.1.1.	საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების წილი, რომლებმაც შეასრულეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციები სსიპ-ების ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით	0	10%	N/A
3.2.1.	Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა	3	30	N/A
3.3.1.	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული, "რეაგირების გარეშე" სტატუსის მქონე რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებელი	12%	8%	N/A
3.4.1.	ცენტრალურ დონეზე, სამინისტროების პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ იცნობენ ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმას და მონაწილეობას იღებენ ღია მმართველობა საქართველოს 2020-2022 წლების პოლიტიკის დაგეგმვაში	0	51%	N/A
3.5.1.	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საჯარო დაწესებულებების (სამინისტროების ცენტრალური აპარატები და სსიპ-ები) მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი	15%	10%	N/A
სახელმწიფო სერვისების მიწოდება				
4.1.1	სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების პოლიტიკის დოკუმენტის (PSDP) დამტკიცების შემდეგ, ცენტრალურ დონეზე შექმნილი/ადაპტირებული სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს	0	15	N/A
4.2.1.	PSDP-ის დამტკიცების შემდეგ შექმნილი/ადაპტირებული ცენტრალური სერვისების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანი სტანდარტის ძირითად მოთხოვნებს	0	15	N/A
4.3.1.	სახელმწიფო სერვისების რაოდენობა, რომელთა ხარისხი შეფასებულია სერვისის ინდექსის მეთოდოლოგიის მიხედვით	0	5	N/A
4.3.2.	3 სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელი უწყების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე	0	70%	N/A
4.4.1.	ახლადშექმნილი/ადაპტირებული საჯარო სერვისების რაოდენობა, რომელთა ფასწარმოქმნა განხორციელდა ფასწარმოქმნის ახალ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით	0	15	N/A
4.5.1.	My.gov.ge-ზე სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდილი რაოდენობა	427	470	467
4.7.1.	კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების შეფასების საერთო შეწონილი ქულის ზრდა 20%-ით	24	29	N/A
ადგილობრივი თვითმმართველობა				
6.1.1.	ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად იდენტიფიცირებული უფლებამოსილებების რაოდენობა	0	2	N/A

ცხრილი 7:

აქტივობის შედეგის ინდიკატორების შესრულება რეფორმის საბჭოს სამდივნოს შეფასებით

პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

ამოცანა 1.1: პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის დახვეწის მიზნით

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
1.1.1.1 პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი შემუშავებულია და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

1.1.1.2 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო შემუშავებულია, განხილულია სამუშაო ჯგუფში და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.1.1.3 მომზადებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართები - ინსტრუქციები/შაბლონები; დაბეჭდილია მთლიანი სახელმძღვანელო	ნაწილობრივ შესრულდა[52]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
1.1.2.1 განახლებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, საჯარო მოხელეებისათვის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ტრენინგ კურსი შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.1.4.1 მომზადებულია კვლევის ანგარიში პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე საჯარო კონსულტაციების გამართვის საუკეთესო პრაქტიკის და საკანონმდებლო ბაზის შესახებ და მის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.1.5.1 სისტემატიზებულია მასალები წლების და უწყებების მიხედვით მთავრობაზე დასამტკიცებლად წარდგენილი და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესახებ	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
ამოცანა 1.2: პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული მიდგომის და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად		
1.2.1.1 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან ერთად დამტკიცებულია მონიტორინგის და შეფასების ინსტრუქცია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.2.3.1 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	ნაწილობრივ შესრულდა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
ამოცანა 1.3: ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონულად შემუშავების პრაქტიკის ჩამოყალიბება[53]		
1.3.1.1 ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის კონცეფციის შემუშავების მიზნით, საბჭოს წევრი უწყებების წარმომადგენლებისა და ტექნიკური პერსონალისგან შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
1.3.1.2 ანტიკორუფციული საბჭოს ელექტრონული პორტალის კონცეფციის შემუშავების მიზნით, საუკეთესო პრაქტიკის კვლევა შესრულებულია და გაზიარებულია სამუშაო ჯგუფთან	ნაწილობრივ შესრულდა[54]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
1.3.1.3 შემუშავებულია და სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებულია ელექტრონული სისტემის კონცეფცია	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
1.3.1.4 შეთანხმებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი	არ შესრულდა	განხორციელების პროცესი არ დაწყებულა
ამოცანა 1.4: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება, საკანონმდებლო აქტებზე რეგულირების გავლენის შეფასების დანერგვის გზით		
1.4.1.1 საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონპროექტი შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.4.1.2 საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონპროექტი მთავრობისთვის წარდგენილია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

[52] აქტივობის სრულად შესასრულებლად საჭიროა საჯარო კონსულტაციების გამართვის ინსტრუქციის მომზადება და ერთიანი პაკეტის დაბეჭდვა.

[53] იმის გათვალისწინებით, რომ აქტიურ ფაზაშია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავების პროცესი - რესურსების სწორად განაწილებისა და აქტივობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო ეტაპობრივად/საჭიროების მიხედვით დაგეგმავს ვალდებულების განხორციელების შემდგომ ნაბიჯებს.

[54] საანგარიშო პერიოდში მომზადდა კვლევის პირველადი ვერსია.

1.4.1.3 საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონპროექტი მთავრობის მიერ დამტკიცებული და პარლამენტში წარდგენილია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.4.2.1 საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
1.4.2.2 საკანონმდებლო აქტების რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო მეთოდოლოგია მთავრობისთვის განსახილველად წარდგენილია	სრულად შესრულდა[55]	განხორციელების პროცესი დასრულებულია

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

ამოცანა 2.1: დამსახურებაზე დაფუძნებული კარიერული წინსვლის და ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების მიზნით, სამინისტროების დონეზე პროფესიული საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის პრევენციის ხელშეწყობა

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
2.1.1.1 ბიუროს მიერ განხილული და გაანალიზებულია მიღებული პროფესიული განვითარების გეგმები და ანგარიშები; ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ხარვეზები	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.4.1 პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის რეგულაციები შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.4.2 აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების რეიტინგები შექმნილია და მასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.1.6.1 კანონში და კანონქვემდებარე აქტში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებში შესატან ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი შექმნილია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.6.1.2 ცვლილებების პროექტი მომზადებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
2.6.1.3 გამართულია სულ მცირე 3 საჯარო განხილვა კანონში და კანონქვემდებარე აქტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ	არ შესრულდა[56]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
2.6.1.4 კანონის პროექტი წარდგენილია მთავრობისთვის	არ შესრულდა[57]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

ამოცანა 2.2: საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის აღსრულების ხელშეწყობისა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით

2.2.1.1 ბიუროს ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზი განხორციელებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ანგარიშვალდებულება

ამოცანა 3.1: ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის პრინციპების განმტკიცების მიზნით იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსტიტუციური მოწყობის გადაწყვეტის შეთავაზება, რომლებიც ექცევიან საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედების სფეროში

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:

[55] მეთოდოლოგია მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა 2019 წლის ბოლოს, თუმცა მთავრობამ დოკუმენტი 2020 წლის 17 იანვრის დადგენილებით დაამტკიცა. შესაბამისად, ინდიკატორი სრულად შესრულდა.
[56] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლების მონაწილეობით.
[57] საანგარიშო პერიოდში კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტი არ წარდგენილა მთავრობისთვის.

3.1.1.1 სსიპ-ების ჩამონათვალი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებად მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ანალიზის შედეგად	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
3.1.2.1 სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტი შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[58]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.1.2.2 სსიპ-ების შესახებ კანონის პროექტის სულ მცირე 3 საჯარო განხილვა გამართულია	არ შესრულდა[59]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
ამოცანა 3.2: ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება არსებული მექანიზმის გაძლიერების მეშვეობით		
3.2.1.1 ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge განახლებულია	ნაწილობრივ შესრულდა[60]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
ამოცანა 3.3: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რეკომენდაციებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით		
3.3.1.1 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა შემუშავებულია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
ამოცანა 3.4: საჯარო სამსახურში ღია მმართველობის პოლიტიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრალურ დონეზე საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ღია მმართველობის დღის წესრიგის შესახებ		
3.4.1.1 ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია; სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტი სრულად ეთმობა საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას	ნაწილობრივ შესრულდა[61]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.4.3.1 OGP საქართველოს ვებ-გვერდი შექმნილია	ნაწილობრივ შესრულდა[62]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
ამოცანა 3.5: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და მისი თანმიმდევრული გამოყენება პრაქტიკაში		
3.5.1.1 ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი პარლამენტისთვის წარდგენილია	ნაწილობრივ შესრულდა[63]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
3.5.2.1 ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მიზნით საინფორმაციო სახელმძღვანელო შემუშავებულია	არ შესრულდა[64]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა

სახელმწიფო სერვისების მიწოდება

ამოცანა 4.1: მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.1.1.1 პოლიტიკის დოკუმენტი განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან და წარდგენილია მთავრობაზე განსახილველად	ნაწილობრივ შესრულდა[65]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[58] შემუშავებულია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[59] გამართულია 3 შიდა შეხვედრა მხოლოდ საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად აუცილებელია სსიპ-ების შესახებ ახალი კანონის პროექტის საბოლოო სახით შემუშავება.
[60] შემუშავებულია ღია მონაცემების პორტალის ფუნქციონალი, თუმცა პორტალი განახლებული არ არის.
[61] შემუშავებულია ღია მმართველობის კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსია, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[62] შემუშავებულია OGP საქართველოს ვებ-გვერდის ფუნქციონალი, მიმდინარეობს დეველოპერული სამუშაოები.
[63] შემუშავებულია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი, დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.
[64] აქტივობის განხორციელებისთვის აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის დამტკიცება.
[65] შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც მთავრობას მას შემდეგ წარედგინება, რაც მასში აისახება არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნები და კომენტარები.

4.1.2.1 სერვისის დიზაინის გზამკვლევი და ინსტრუქცია შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[66]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.1.2.2 ჩატარებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციების საჯარო პრეზენტაცია	არ შესრულდა[67]	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა
ამოცანა 4.2: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სერვისების მიწოდების ერთიანი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტის დანერგვის მეშვეობით		
4.2.1.1 სახელმწიფო სერვისების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია მთავრობისთვის	არ შესრულდა[68]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
ამოცანა 4.3: სახელმწიფო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხარისხის შემოწმებისა და გაუმჯობესების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მეშვეობით		
4.3.1.1 სერვისის ინდექსის კონცეფცია და მეთოდოლოგია შემუშავებულია	ნაწილობრივ შესრულდა[69]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.3.1 მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი შემუშავებულია	არ შესრულდა[70]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.3.6.1 შექმნილია საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) სახელმძღვანელო და დანერგვის მეთოდოლოგიის გზამკვლევი	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
4.3.8.1 CAF მეთოდოლოგია დანერგილია 1 საპილოტე სერვისის მიმწოდებელ უწყებაში	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
ამოცანა 4.4: სახელმწიფო სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბება სერვისების ფასწარმოქმნის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების გზით		
4.4.1.1 ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია განხილულია სერვისის მიმწოდებელ ყველა უწყებასთან და დადასტურებულია მათ მიერ	არ შესრულდა[71]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
ამოცანა 4.5: სახელმწიფო და კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება My.gov.ge-ს გაძლიერების გზით		
4.5.1.1 სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მიწოდების რეგულირებისათვის საკანონმდებლო ცვლილება მომზადებულია და წარდგენილია მთავრობისთვის	ნაწილობრივ შესრულდა[72]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.2.1 My.gov.ge-ზე არსებობს მხედველობა დაქვეითებული მომხმარებლებისათვის ადაპტირებული გარემო	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
4.5.3.1 უკუკავშირის მექანიზმები ინტეგრირებულია My.gov.ge-ზე	ნაწილობრივ შესრულდა[73]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს
4.5.4.1 My.gov.ge-ზე განთავსებულია ელექტრონული სერვისების გამოყენების სასწავლო ვიდეო მასალა	ნაწილობრივ შესრულდა[74]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს

[66] შემუშავებულია სერვისის დიზაინის გზამკვლევისთვის საჭირო ინსტრუქციის ნაწილი, თუმცა არ მომზადებულა დოკუმენტების საბოლოო ვერსიები.
[67] პრეზენტაცია ჩატარდება სერვისის დიზაინის გზამკვლევისა და ინსტრუქციის შემუშავების შემდეგ.
[68] საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი არ მომზადებულა.
[69] მომზადებულია სერვისების ინდექსის საბოლოო ვერსია, რომელიც უნდა წარედგინოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.
[70] წწლიური მონიტორინგის ეტაპზე შემუშავებული არ არის მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის სტანდარტი.
[71] წლიური მონიტორინგის ეტაპზე შექმნილი არ არის ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო და მეთოდოლოგია, შესაბამისად, იგი არ განხილულა სერვისის მიმწოდებელ უწყებებთან.
[72] მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, თუმცა დარჩენილია მისი მთავრობისთვის წარდგენა.
[73] უკუკავშირის მექანიზმის სრულად ამოქმედება იგეგმება 2020 წელს.
[74] შექმნილია და ტესტირების რეჟიმშია სხვადასხვა ფუნქციონალის გამოყენების შესახებ გრაფიკული ინტერაქტიული მითითებები.

4.5.5.1 My.gov.ge-ს გამოყენების შესახებ ტრენინგები ჩაუტარდათ: 1. იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლებს. 2. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს 3. კერძო სექტორის და მედიის წარმომადგენლებს 4. სტუდენტებს	ნაწილობრივ შესრულდა[75]	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ამოცანა 4.7: კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება ცნობიერების ამაღლებითა და სასწავლო მეთოდოლოგიების შექმნის გზით

4.7.1.1 შექმნილია კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის განსაზღვრის მეთოდოლოგია	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
4.7.2.1 მინიმუმ 3 უწყებაში დანერგილია ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა	არ შესრულდა[76]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს[77]
4.7.3.1 ელექტრონულ სატრენინგო პლატფორმაზე განახლებულია კიბერუსაფრთხოების საბაზისო სატრენინგო მასალა	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
4.7.4.1 შემუშავებულია კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისათვის	არ შესრულდა[78]	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს[79]

ადგილობრივი თვითმმართველობა

ამოცანა 6.1: თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, მათი უფლებამოსილებების გაფართოება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების რეიტინგი:	განხორციელების სტატუსი:
4.6.1.1 შემუშავებულია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია და განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია
4.6.1.2 სტრატეგიის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის	სრულად შესრულდა	განხორციელების პროცესი დასრულებულია

დანართი 2

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის სტატუს ანგარიში

[75] იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები გადამზადდნენ 2018 წლის ტრენინგების ციკლის ფარგლებში.
[76] ქსელის სენსორული მონიტორინგის სისტემა მხოლოდ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოშია დანერგილი.
[77] წინამდებარე ანგარიშის დამტკიცების მომენტისთვის, პარლამენტში მიმდინარეობს ინიციატივების განხილვა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს აღნიშნულ აქტივობაზე, რის გამოც მისი შესრულება ვერ მოხერხდა (აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სამოქმედო გეგმის მომდევნო მონიტორინგის ანგარიშში).
[78] საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა კიბერჰიგიენის სასწავლო დისციპლინა სკოლებისთვის.
[79] წინამდებარე ანგარიშის დამტკიცების მომენტისთვის, საერთაშორისო ექსპერტმა დაასრულა სილაბუსის შექმნა. მიმდინარეობს მასალის ქართულ ენაზე თარგმნა, ხოლო ივლისის თვეში განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდება მასწავლებლების ტრენინგი აღნიშნული მასალის წარდგენის მიზნით.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. “საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.